



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჰაილანდის  
ჯიოვანი ბიბლიოთეკა

იროდიონ ევდოშვილი  
(ხოსიტაშვილი)

კრებული  
(პროზა)

იროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი)

კრებული

პროზა

## მოვიტანე

- მაშ რას ვიზამთ, შვილო, აბა რას ვიზამთ, თუ როგორმე ხელი არ მოვინაცვლეთ! ე მანდ - ე ნიკოი პერანგის ამარა დაიარება; ჩვენმა მარიკელამ ხომ გააჭირა საქმე.

- მერე მე ხომ უარს არ ვამბობ და! წავიღებ მაშ რას ვიზამ?

- ჰო, გენაცვალოს, შვილო, დედა, ჰო! აი ბიძაშენს გაჰყვები, მეზობლებიც მოდიან...

აღარ დაათვა სიტყვა შიოს დედამ მაიამ და თითქოს რაღაც მოაგონდაო, გარეთ გაეშურა.

შიო კი სახლის ფანჯარასთან მიმჯდარი მარდად უყრიდა კოპს1 საქალმედ გამოჭრილ ძროხის ტყავს, და თან რაღაც თათბირში იყო ფიქრებით; მისი თვალები ხან კითხვას გამოთქვამდნენ, ხან პასუხს.

- ჩემო მაზლო, ჩემო მაზლო, ერთი გარეთ გამოიხედე!

მოისმა პატარა ხანს შემდეგ გარედან მაიას რიხიანი ხმა.

- რა იყო, ადამიანო, რა ამბავია? ისე ჰკვივით, თითქოს ას ვერსზედ მეძახოდე, - გამოეხმაურა სახლიდან მაიას მისი მაზლი ივანე და ახალუხის სწორებით გარეთ გამოვიდა პატარასახიანი და ტანდალეული შუახნის კაცი, რომელსაც მეტ სახელად “ნალევას” ეძახდნენ.

- იი, შენ კი გენაცვალე, ჩემო მაზლო, რა საწყენია, რომ ადამიანს დაუძახოს!

- მე მაგას კი არ ვამბობ, ადამიანო! მე იმას ვამბობ, ტყვილ-უბრალოდ ყვირილი ნუ იცი მეთქი. შენს ხმას რომ გავიგონებ, ასე მგონია ერთი რამ უბედურება მოხდა მეთქი... გულგახეთქილი გამოვეშვები ხოლმე ისარივით!

მართლაც და არა სტყუოდა ივანე: მაიას არამც თუ ჯავრობა, უბრალოდ ლაპარაკიც კი სოფლის ერთი კუთხიდან მეორეში ისმოდა ხოლმე, მაგრამ რაც შეეხება ივანეს “ისარივით გამოშვებას” ეს კი იმდენად მართალი იყო,

რამდენადაც კამეჩის მერცხალივით გაფრენა.

- ჰოდა, აბა ერთი მითხარი, რა გინდა? - შეეკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ივანე და იქვე ეზოში ისე მოიკეცა, თითქოს სამუდამოდ აქ აპირებს დაბინავებასო.

- აი, ჩემო მაზლო, რა სათხოვარი მაქვს, - ჩაიკეცა მაიამაც ივანეს წინ მუხლებზედ - შენ ხომ ამაღამ შეშა უნდა წაიღო ქალაქში გასაყიდად და ე ჩემ შიოლასაც გამოგაყოლებ. გენაცვალე! გზა არ იცის და კვალი, არც გაყიდვა და ყიდვა: აბა რა შეუძლიან თხუთმეტი წლის ბიჭს... რა უნახავს... სხვა არა იყოს რა, ქალაქის ქუჩებზედ დაიკარგება. ჰოდა, აი გენაცვალე, ჩემო მაზლო, ისე უპატრონე შიოლას, როგორც შენ შვილს; შენი იმედი მექნება!..

- რატომ არ უნდა გქონდეს. ქალაქი ისე ვიცი, როგორც ჩემი ხუთი თითი; იმის გზაზედ დავბერდი კაცი.

- აიქ, გენაცვალე, ხათაბალაში არაში გაეხას, - შეეხვეწა კიდევ მაია.

- ჰაი-ჰაი, - დაჰკრა პასუხის მაგიერ ივანემ ტაში, - მე რომ იქ ერთხელ საქმე დამემართა, ჩემს დღეში არ დამავიწყდება!

- ჰოდა, მეც მაგისი მეფიქრება, - მოიჩივლა კიდევ მაიამ.

- ერთხელა, ადამიანო, ი ჩემი ძმა ცოცხალი იყო, აი, მამულების დავა რომ გვქონდა...მაიამ თავისი გარდაცვალებული ქმრის მოგონებაზედ მწუხარებით ჩაიქნია რამდენჯერმე თავი და ამოიოხრა.

- ჰოდა, ერთხელა, - განაგრძო ივანემ, - ჩემი ძმა შემომიჩნდა: ბიჭო “ნალევა” შენ უფრო გამოცდილი კაცი ხარ, ერთი “სუდში” წადი და “პროკლოვი”<sup>1</sup> ნახეო; აბა მე რაღა უარს ვეტყოდი და ჩაველი ქალაქში. ჩაველ თუ არა- და, გავემურე “სუდისაკენ”. მივუხვიე თუ არა ქუჩის კუთხეს, უცებ სამმა-ოთხმა სალდათმა ზედიზედ მომადახა: “ნალევა, ნალევაო!” ტუსაღები მოჰყავდათ. მეც პირდაპირ იმათკენ გავქანდი - ალბათ, ნაცნობები არიან-მეთქი. გამარჯობის თქმა ვერც კი მოვასწარი, რომ კინაღამ ოთხი თოფის შუბი გულში ჩამერჭო. გავჩერდი... ვიფიქრე: “თუ მიცნობენ, რა დავაშავე, რისთვის მცემენ მეთქი, თუ არ მიცნობენ და

არ იციან, რომ “ნალევა” მქვიან-მეთქი”. თურმე, ადამიანო, “ნალევა” რუსულად მარცხენა მხარეს ჰქვიან, და “ნაპრავა” კი მარჯვენას. აბა ეს მე მაშინ რა ვიცოდი! როგორც იყო, გადავრჩი საფრთხეს... ერთი-ორი დუგლუგი მითავაზეს და ქუჩის ნაპირისაკენ მიმაგდეს. ახლა კი, ღვთის წყალობა გაქვს, დავინახავ თუ არა რუსს, მაშინვე მარცხნივ გავრბივარ. - დაათავა ივანემ და ჩაიცინა თავის პატარა აბურძგნულ ულვაშებში.

- ჰოდა, გენაცვალე, მეც იმიტომ გეხვეწები, რომ გამოცდილი კაცი ხარ, თან აიყოლებ, გვერდზედ გეყოლება...

- ცოტა გაიჭერა ბიჭი კი არი: არ იცის უფროსის გაგონება.

- პატარაა, გენაცვალე. პატარაობით მოსდის! - მოხადა ბოდში შიოს მაიამ და დაარხინებული, რომ ივანეს გააყოლებდა ხვალ ქალაქში, გასწია შინისაკენ.

- პაპ, პაპ, აპა! რა ამბავი იქნება ახლა ქალაქში! რა ორომტრიალი! - ჩაილაპარაკა თავისთვის ივანემაც და, თითქოს ბერკეტით აყენებს თავის თავსო, მარჯვენა ხელი მიწას დააბჯინა, მძიმე-მძიმედ წამოდგა ზეზე და ზღაზვნით გასწია იმანაც სახლისაკენ.

- დედიჯან, რა კარგი იქნება შაქრის ბატკანი, - შესძახა სახლში შემოსულ მაიას ხუთი წლის ნიკომ და კალთებზედ მოეხვია: - მგონი სულ ქალაქურად ბლავის! შიო დამპირდა, გიყიდიო, -ტიტინებდა პატარა ნიკო.

- ბიჭო, შე გასაგლეჯო. მე რაღა დაგიშავე, პა? მე რაღა

დავაშავე! - დასძახოდა შიოს თავზედ მისი გაჯავრებული და მარიკელა.

- რა იყო გოგო რა ამბავია? გასაგლეჯიც იყავი და დასამიწებელიც! რად მიწყევლი ბიჭს! - შეტუქსა მაიამ გაკაპასებული მარიკელა.

- როგორ არ დავწყევლო, ქა, დილას აქეთია ვეხვეწები - ერთი “ბუზიკა” მიყიდე მეთქი და მაგას “ჰო” ვერ ვათქმევინე! - მოიჩივლა ახლა კი თვალზედ ცრემლებმომდგარმა მარიკელამ.

- უყიდე, გენაცვალოს დედა, შვილო, უყიდე! დანიშნული ქალი მყავს!

ქორწილში მაინც დაუკრავენ!..

- ემანდ - ე, ჰი, ახლაც უარს იტყვი? - მიუგო ნიშანი შიოს დედის სიტყვებით გახარებულმა მარიკელამ და გაბრწყინვებულ თვალებზედ ცრემლი დილის ნამებად აუთამაშდა.

- მაგ საქვეს რაღა “ბუზიკა” უნდა, ისე კი ცოტას ტლინკავს? სოფლის ბოლოში რომ დაირას უკრავდნენ, ეგ აქა პროწიალობს!

- რა ჰქნას, შვილო, ჯეილია, გული ეხალისება! - გაამართლა მაიამ მარიკელა.

- ჯეილია! - ჩაიდუდუნა ბერიკაცივით შიომ და სახენაღვლიანმა კვლავ ქალამნებს დაუწყო ამოქნა.

მართლაც და, ოჯახის უდროოდ, პატარაობიდანვე, თავზედ მოხვევამ თითქოს დააბერა თხუთმეტი წლის შიო. ის მარად სახედაღვრემილი, გულჩათხრობილი იყო. მისი ფიქრი ოჯახის ათასგვარ გაჭირვებას დასტრიალებდა.

- არა უშავს-რა, შვილო, მალე ნიკოც მხარში ამოგიდგება და ჩვენც წინ წამოვიწევით.

- ბეეე... ბეე! - დაიბღავლა თავის სახელის გაგონებაზე ნიკომ, დარწმუნებულმა, რომ სწორედ იმ ქალაქურ შაქრის ბატკანივით ბღავის, რომელსაც შიო დაჰპირდა.

- გაზაფხულსაც კაი პირი უჩანს... - ლაპარაკობდა თავისთვის მაია და თან თაროდან ძირს ალაგებდა პურს, მწვანილს და ზამთრის ბოლოკს.

- ცოტა წავივახშმით, შვილო! ამაღამ ადრიანად მოგინდება ადგომა, - მიიწვია მაიამ შიო და თვითონ მარიკელასთან ერთად მოუჯდა ხონჩას. შიომაც უკანასკნელად ამოუბნია ქალამანს კოპი და ისა და ნიკაც ვახშამს შეუდგნენ.

ჯერ შუალამე არც კი იყო გადასული, როდესაც გარედან ივანეს ძახილი მოისმა.

- აიწიე! აიწიე, შევაბათ ჩქარა! - აჩქარებდა ივანე შიოს და თვითონაც წინა

დღით გამზადებულ შეშის ურემს გარს უვლიდა: უსინჯავდა დაჭიმულ წნელებს, ასწორებდა უღელს, ტაბიკებს...

- ახლავ, გენაცვალე, ჩემო მაზლო, ახლავ! - გამოეხმაურა შიოს მაგიერ ივანეს მაია ნამძინარევი ხმით და მართლაც არ გასულა სულ ათიოდე წუთი, რომ შიო უკვე მეორე ხარს აბამდა ურემში.

- რა უყო ყურები ამ სავერნემ, ამან! - ბუტბუტებდა ივანე და თან ნიკორა ხარს ხელს უფათურებდა კისერზედ.

- რას უზამდა, ჩემო მაზლო, თავზევე ექნება! - უპასუხა თავისი ეზოდან მაიამ გაჯავრებულ ივანეს. - საცოდავი კარგად ველარას ხედავს და ხარს უჩივის: ყურები რა უყო! - ჩაილაპარაკა პასუხის შემდეგ თავისთვის მაიამ. როგორც იყო, ივანემაც ამოაყოფინა ნიკორას თავი უღელში, შეცოცდა კოფოზედ და გამარჯვებული გმირივით გადასძახა შიოს:

- აბა, მზადა ვარ, მომაცოლე!

- გაუჯავრდი; - უპასუხა შიომაც და შეშით დატვირთული ორი ურემი ქალაქისაკენ გაემართა.

მთვარიანი ღამე იყო, ჩუმი და წყნარი. მაგრამ ამ სიჩუმეში ხანდახან მოისმოდა ხოლმე ტყიდან რაღაც საიდუმლო ჩურჩული, ტკბილი და საამო ბაასი. კოკორაშლილი ხეები, ამწვანებული შინდი და თეთრკაბა ტყემალი ერთმანეთს ემუსაიფებოდნენ. აქ, ტყის წიაღში, ხეების ტოტებში ემზადებოდა გაზაფხული, ფრთებს ჰშლიდა, ფერადდებოდა, ირთვებოდა მთვარის სხივებზედ, რომ დილის მზეს კოხტად და კოჰწიად დახვედროდა.

- შრრრ...- გაუვლიდა სიჩუმეში ტყეს ნიავი, გაიჭრებოდა ნაპირას და წყნარადვე მიარხევ-მოარხევდა მწვანე ჯეჯილს, თითქოს აღვიძებდა განთიადის დასახვედრად.

არაგვი კი, ცელქი არაგვი, არც ამ მყუდრო ღამეში ისვენებდა. ის ხან ჩხრიალით გადადიოდა ქვიდან ქვაზედ, ხან ლიკლიკებდა, ხან კი აწკრიალდებოდა ნაზად, თითქოს ნიავმა შეარხია ჩანგის სიმებიო, და უგალობდა, ტკბილ საგალობელს დილის ცისკარს. "აფრინდა ქორი,

აფრინდა, არაგვი ჩაინადირა, მცხეთას დაეცა დედალსა, ავჭალას მტვერი ადინაა დააა... ჰალი - ჰალაღეეე... დააა...გაისმა ამ ჯადოსნურ ღამეში ივანეს ნაღვლიანი ხმა და ნელ-ნელა, ზარმაცად, მაგრამ ტკბილად მისწყდა კოდორის მთის ნაკვეთებში.

შრრრ... გააცილა უკანასკნელი ჰანგი ნიავმაც და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

“ალალო, დილის ნიავო, მე შენთვის მიტირნიაო. - შენ ჩემთვის რა გატირებდა: რა სიკეთე მიქნიაო!”

დაარღვია სიჩუმე ახლა შიოს ურმულმა. ეს ხმა ამოდიოდა გულის წიაღიდან, თან ამოჰქონდა იქ შეგუბებული ცრემლები და წყაროს შხეფებივით აბნევდა მთვარის სხივებზედ; თან ამოჰქონდა პატარა ტანჯული გულის ნაღველი და მიჰქონდა ზეცისაკენ, თითქოს დედამიწაზედ ვერ ეპოვა თავის თანამგრძნობი.

ობოლი სულ ქვითინებდა ურმულის ჰანგებში...ჰეი! რა ასატირებლად მღერის ჩვენი შიოლაი! - წაიდუდუნა ივანემ და მთლად სმენად გადაიქცა. მას გაუკვირდა კიდევ შიოს სიმღერა, რადგანაც, მართლაც და შიოს, რაც ის ხარავით შეება ოჯახის უღელში, არ დაუღიღინია: მასაც ხარავით წაერთვა ენა...ღამის სიბნელე თანდათან იწურებოდა, აღმოსავლეთიდან ბინდ-ბუნდში ნელ-ნელა მოიპარებოდა განთიადის შუქი. ნიავმაც თანდათან მოუხშირა; მოუხშირა შრიალი ტყე-მინდორმაც, თითქოს ერთმანეთს ატყობინებდნენ განთიადის მოახლოვებას. მეურმეებმა გადაიარეს არაგვი, გამოვიდნენ მცხეთის გზაზედ და გაუდგნენ დიღმის მინდვრით ქალაქისაკენ.

- როგორღაც იკბინება მზე, ავდარს აპირებს, ავჩქარდეთ! - გადასძახა ივანემ ურმის კოფოდან შიოს და მოუქნია სახრე ხარებს.

- მგონი! - ჩაილაპარაკა შიომ პასუხად და იმანაც მარდად მიაყოლა ურემი ივანეს. აშურდნენ ხარებიც; ისინიც გრძნობდნენ, რომ შინისკენ მიდიოდნენ, სადაც დასვენება და საკვები ელოდათ, ახლა ტვირთიც აღარ ამძიმებდათ: შეშა გაყიდეს. იყიდა შიომ დაპირებული შაქრის ბატკანი,



“ბუზიკა”, დანარჩენი ფული მაგრა გამოჰკრა ხელსახოცის ყურში და მიემურებოდა, რომ გაეხარებინა და-ძმა და დედა მათა.

ივანე არა სტყუოდა. მზე თუმცა უკანასკნელ სხივებს ესროდა დედამიწას, მაგრამ ისე ცხარედ, რომ თითქოს სურდა დაეწვა იგი, თითქოს ცეცხლის კოცონი უნდა აენთო. არ გაუვლიათ ჩვენს მგზავრებს სულ ერთი საათის მანძილი, რომ უცებ აქეთ-იქიდან ცის გუმბათისაკენ შავი ღრუბლები წამოვიდა. აქამდე სადღაც მიმალულნი, ახლა სწრაფად მოსდევდნენ ერთმანეთს. ცის კიდურზედ ხან ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, თითქოს სათათბიროდ, ხან შორდებოდნენ ერთმანეთს და ქარავანივით აქეთ-იქით მიიზღაზნებოდნენ.

ცა ჩაშავდა, ჩამოხელდა. არაგვის გაღმა-გამოღმა მთები ხომ შავ, უზარმაზარ გველეშაპებს დაემსგავსნენ. ძლიერმა ქარმა წამოუბერა რამდენჯერმე, საიდანღაც მოაყარა თითო-ოროლა წვიმის ცვარები და უცებ შედგა. მაგრამ სიჩუმე მალე დაარღვია გრგვინვამ და შორს, კოდორის მთის მწვერვალზედ, შავ ღრუბლებში გაიკლაკნა წითელი გველი. აგრგვინდა ცა; გრგვინვამ ჭექის ტალღები გასტყორცნა აქეთ-იქით და წყვდიადით მოცულ დედამიწას დაუთქაფუნა კოკისპირული წვიმა. აქუხდა არაგვიც. ორივე მხრიდან ორმა ნიანგმა მთამ დააქანა თავისი ნაკადულები ქვევით, ააგუგუნა ხეხები და მიუსია არაგვის ელვასავით გამოქანებული ნიაღვარი. არაგვი კი შფოთავდა, ღრიალებდა, ხეთქდა კიდეებს და გაცოფებული გამორბოდა ქვევით, რომ გადაეთელა ყოველივე, რაც კი გზაში შეხვდებოდა.

- ჰაი, შიოლავე, ჰაჰაჰაჰაი!

ძლივსძლიობით ისმოდა ამ აურზაურში ივანეს ხმა. ის ეძახოდა შიოს, რადგან მათ სიბნელეში დაჰკარგეს ერთმანეთი, მაგრამ პასუხს არავინ სცემდა: შიოს არ ესმოდა მისი ხმა.

\*\*\*

გათენდა კვირა დილა. თითქოს ბრძოლაში გამარჯვებული გმირი - დედამიწა ლიტანიობდა. ცა დამშვიდებული იყო. მზის პირველმა

სხივებმაც მალე გაფანტეს აქეთ-იქით უკანასკნელი ღრუბლები და მხოლოდ სველი, ნამებაციმციმებული მინდორ-ველი და ყვითლად შეღებილი არაგვი, რომელიც ჯერ კიდევ ბუტბუტებდა, გვაგონებდა წუხანდელ ჭექა-ქუხილს.

სოფელ No-ის მცხოვრებნიც გარეთ გამოფანტულიყვნენ. აქა-იქ სოფლის გოგოებს თამაშობა უკვე გაემართათ.დასრიალებდა მათ შორის მარიკელაც ახალი “ბუზიკის” მოლოდინში. ნიკოც, ვიდრე შაქრის ბატკანი მოუვიდოდა, ქალაქურ ბატკნის “ბეეე”-სა სწავლობდა. მხოლოდ მოუსვენრად ჰგრძნობდა თავს მაია. ის მალი-მალ მიიღებდა ხოლმე შუბლზედ ხელს და გახედავდა სოფლისაკენ მომავალ გზას. მალი-მალ პირჯვარს იწერდა და რაღაცას ჩურჩულობდა ტუჩებით. წუხანდელმა საშინელმა ღამემ ის შეაფიქრია.

“მოდინ! მოდინ!” - დაიძახა უცებ ვიღამაც და გზისაკენ თითი გაიშვირა. მართლაც, იმ მხარეს ურემი გამოჩნდა, ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მეორე, მესამე და ამგვარად რამდენიმე ურემი მოიზღაზნებოდა სოფლისაკენ. წყვილიად ღამეს მეურმეები შეეჩერებინა და ერთად შეეგროვებინა მეზობლები.

მაიამ მათ დანახვაზე ისეთი შვებით ამოიოხრა,თითქოს რაღაც მძიმე მოსწყდა მის გულსაო.ცოტა ხნის შემდეგ ურემები სოფლებში შემოვიდნენ. მაია, მარიკელა და ნიკო შიოსაკენ გაეშურნენ. “მოიტანა! მოიტანა!” - იძახდა ნიკო და ყველაზედ წინ გარბოდა. არც მარიკელა იყო ნაკლებ სიხარულში...

“მოვიტანე! მოვიტანე!” - ჩაიქვითინა ივანემ წინა ურემზედ და გადახადა ფარაჯა სამუდამოდ თვალებდახუჭულ შიოს.

მაიას ჩამოგლეჯილი თმები ეფინებოდა სველ დედამიწას; მარიკელას დაღარული ლოყები წითლად ღებავდნენ მისივე გულ-მკერდს. ქვითინებდა საშინელი ამბით შეწუხებული მთელი სოფელი. “ზნელაში ერთმანეთი დაგვარგეთ, ფონს ასცდენოდა... მხოლოდ დილითღა ვიპოვე არაგვის პირს გამორიყული!” - მოსთქვამდა ივანე შიოს უბედურ ამბავს.

1913 წ.

1 კოპი - წვრილად და გრძლად დაჭრილი ტყავია ქალამნის ამოსასხამად.

1 “პროკლოვი” - “პროკურორი”.

## შადრევანი

### ესკიზი

ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო. სამეცეცხლურებისა და სახელოსნოების კომლი, ორთქლთან ერთად ჯანყივით შემოჰხვეოდა ჭაბურღილების კომპურებს, და ამ ნისლში ბალახანა შორიდან რაღაც ზღაპრულს ტყეს მოგაგონებდათ. აქა-იქ ისმოდა ტუმბოების ტკაცანი, ორთქლის ქვაბებისა და მანქანების ხმაური. ქუჩებში ფაცაფუცით მოძრაობდნენ შავი, მაზუთში მოსვრილი, ადამიანის მსგავსი ფიგურები. ჯაგვები ზედა მანებამდის ეფლობოდა მტვერში. ჰაერი გაჟღენთილი იყო მაზუთის აირით და რაღაცნაირ განსაკუთრებულ მყრალი სუნით, რომელიც ყაზარმის ღია კარებიდან და ირგვლივ დაყრილ დამპალი ნაგავიდან მოდიოდა.

მალე საღამოს ექვსი საათი შესრულდა. სახელოსნოებიდან და ჭაბურღილების კომპებიდან წამდაუწუმ გამოჰყოფენ თავს მუშები და სამეცეცხლურეს შეჰხედავენ - მეცეცხლური ხომ არ მისულა საყვირთანო, რომელმაც უნდა ამცნოს დღიური ვახტის გათავება. როგორც იქნა გავიდა უკანასკნელი მწარე წუთებიც, სამეცეცხლურეში კედლის საათმა ექვსი დარეკა, და მაშინვე გაისმა სასიგნალო საყვირების ხმა. ერთ წუთში გარდაიქმნა ყველაფერი. ბალახანა ამოძრავდა. ზოგიერთები დასასვენებლად მიიჩქარიან, ზოგნი კი სამუშაოდ. გაისმის სხვადასხვაგვარი შეძახილი, სიცილი, ხუმრობა, გინება. ერთმა ხუმრობით ფეხი დაუდო დასევდიანებულ ამხანაგს, მეორე მოუღლეღად განაგრძობს ყაზარმაში დაწყებულ რაღაცა ეპიზოდის თხრობას თავისი ოხრული თავგადასავლიდან; იქ უსტვენენ ვიღაც პარაშას, რომელმაც ქუჩის მეორე მხარეს გადაირბინა, ის უკან იხედება და, ვითომდა განაწყენებული ჯანდაბაში გზავნის მათ. ზოგიერთები შეუმჩნევლად ჩამორჩნენ ამხანაგებს, იქვე ქუჩაში მაცდურად მდგარ სამიკიტნოში შეირბინეს და ერთი წუთის შემდეგ კიდევ თავის ამხანაგებს წამოეწივნენ.

სარეწაოებზე რაღაც სასწრაფო სამზადისში იყვნენ. ორმოციოდე მუშა მიწის ზვინულს აკეთებდა და “ამბარს” წმენდდა მაზუთისათვის. მხოლოდ მოძრაობასა და ლაპარაკზე თუ შეატყობდიო, რომ ესენი ადამიანები იყვნენ, თორემ მიწისაგან გამოძერწილ ადამიანების მსგავს ფიგურებს უფრო ჰგავდნენ. მათგან დაშორებით ათი კაცი მილებს მილებზე ამაგრებდნენ ნავთსადენისათვის, ერთი რაღაც მორთან ცოდვილობდა, მეორე მიირბენდა, რაღაცას გადასცემდა და უკან ბრუნდებოდა. მთელ ამ მოძრაობას თვალს ადევნებდა სარეწაოს მმართველი, ჩასუქებული და ნებიერი, რომელიც მტკიცედ იძლეოდა ბრძანებებს და აჩქარებდა ისედაც სწრაფად მომუშავე ადამიანებს. დროგამოშვებით ის განზე იხედებოდა, საიდანაც ისმოდა რაღაც ხმაურობა და სადაც ჭაბურღებზედ მაზუთი იღვრებოდა. ეს იყო შადრევანი, რომელსაც მალე უნდა ამოეხეთქნა, და ეს სამზადისიც იმისათვის იყო. ხედავდა, რა ნავთის ჭავრილს, მმართველს განსაკუთრებით საზეიმო გამომეტყველება ეძლეოდა, შეყრილი წარბები იშლებოდა, თვალები ოდნავ უცინოდა, და მთელი მისი ფიგურა ამაყად სწორდებოდა... “ოჰ, ის ჯავრით გასკდება” - ფიქრობდა მმართველი, როდესაც აგონდებოდა თავისი მეზობელი სარეწაოს მმართველი.

შადრევანი პერიოდულად სჩქეფდა, და ამიტომ მედგრად ეწეოდნენ ამოკასვრას, რომ აირისათვის შეემსუბუქებინათ ნავთის ამოფრქვევა. ყველა მოუთმენლად ელოდა იმ მომენტს, როდესაც შადრევანი მთელი ძალ-ღონით ამოხეთქავდა. ჯერ კიდევ დილით შეატყობინა ტელეფონით მმართველმა თავის პატრონს სასიხარულო ამბავი, რომლის მოლოდინიც ჰქონდათ, და გონებაში წინასწარვე ტკბებოდა მომავალი ბედნიერებით, როდესაც პატრონი ბეჭებზედ დაჰკრავდა ხელს და მთელი სარეწაოს პერსონალის თანდასწრებით, “უბადლოს” უწოდებდა.

დადამდა. მოქუშულ ცაზედ აქა-იქ ჩანდა ვარსკვლავები, მთვარე კი ღრუბლებიდან მკრთალად ანათებდა ბალახანის რაიონს. ქუჩებში მოძრაობა შესწყდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გაისმოდა მანქანების დაგადუგი და ორთქლის ქვაბების ხმაური. საცხოვრებელი ბინებიდან და

სამიკიტნოებიდან მოისმოდა ხმაჩახლეჩილი მთვრალეების სიმღერა, ხანდახან სამეცეცხლურეებიდან და ჭაბურღილების კომპურებიდან გაისმოდა ხმამალალი თათრული სევდიანი სიმღერა, რომლის მწუხარე კვნესა როგორღაც არ შეეხამებოდა გარემოცულ სარეწაოს გაცხოველებულ საქმიანობას. მღეროდა ან მეცეცხლური, რომელიც ორთქლის ქვაბებთან იხრაკებოდა, ან მძიმე მუშაობით გაწამებული ამომკასრველი.

მმართველი, როდესაც დაინახა, რომ შადრევანი ჭირვეულობდა და არ სურდა რიგიანად ამოეხეთქა, იმედგაცრუებული წავიდა შინ, საქმის გაძლოლა კი ღამის ნოქარს და მემანქანეს მიაწოდო. შადრევანი მართლაც ჭირვეულობდა, რაც უფრო აძლიერებდნენ მოსამზადებელ მუშაობას, ის თანდათანობით წყნარდებოდა და დაღამებისას იმდენად მიწყნარდა, რომ, როგორც ეტყობოდა, არავითარ იმედს აღარ იძლეოდა. ტყუილუბრალოდ ამოჰქონდა საბრალო ამომკასრველ აბდულას სილითა და ქვებით სავსე “ჟელონკები”. უკვე ოთხი საათია, რაც ის თვალს არ აშორებს ბაგირს, რომელიც ხან ზევით ამოდის, ხან ძირს ჩადის მასზედ მიბმულ ამომკასრველ “ჟელონკიანად”. დაღლილობისაგან თვალეები დაუვიწროვდა და ნაკვერჩხალივით აენტო; განუწყვეტელი მოძრაობისაგან ხელ-ფეხი თითქოს წაერთვა და სხეულს მოსცილდა; მთელ სხეულში ძვლები აუტანლად სტკიოდა. “წყეულიმც იყავ შადრევანო! - ჩურჩულებდა ის. - რას მომცემს მე ეს შადრევანი?! არა, ავდგები და ისევ შინ წავალ”... და გაახსენდა მას თავისი ლეილა, რომელიც უკვე ნახევარი წელიწადია არ უნახავს, გაახსენდა იგი, და მასთან ერთად თვალწინ დაუდგა თავისი ღარიბი, მშობლიური კერის სურათი: მოხუცი მამა, ბებერი დედა და ნახევრად დანგრეული ქოხი. მწარე იყო აბდულასათვის ეს წუთები. ერთ წუთში გაირბინა მის წარმოდგენაში მთელმა რიგმა გულშემალონებელმა სურათებმა. აზრი უცებ გაფაციცებით ამუშავდა, და აბდულს სხვა სურათებიც გაახსენდა. მას თვალწინ წარმოუდგა კავკასიის მთების თვალწარმტაცი მწვერვალები, უღრანი ტყეები მათ ძირში და ხავერდოვანი მინდვრები,

სადაც ის ქურციკივით ხტოდა ლალ მეგობრებში. ჰო, მაშინ სულ სხვა იყო; მას ცხვრის ფარა ჰყავდა, მას კიდევ შეეძლო გუთნის გაძლოლა, ხოლო დედა და და კიდევაც ჰყიდდნენ მათ მიერ მოქსოვილ ზედმეტ შალს. მერე კი მთელი ეს კეთილდღეობა როგორღაც მოულოდნელად გაქრა. დადლილ აბდულას გაუწყდა მოგონებათა ძაფი; მის დამძიმებულ თავში ერთი-მეორეს უცებ სცვლიდა დაუმთავრებელი აზრები და ბუნდოვანი სურათები. მას რაღაც საშინელი კოშმარი დაეუფლა. მისი ხელები უნებურად დაეშვა მუხლებზე, და ჯიხურს მიეყრდნო თავით. უეცრად მის ზევით გაისმა რაღაც უჩვეულო ხმაურობა: ამომკასრველი “ჟელონკა”, რომელსაც უკვე არ მართავდა აბდულა, ბორბალს მოხვდა.

ნაკბენივით წამოხტა აბდულა, უცებ მოისაზრა რაშიაც იყო საქმე, ხელი დაავლო ჩაქუჩს და გარეთ გავარდა. მას ეშინოდა ნოქარი ან მემანქანე არ მოვიდესო, რომელნიც არ აპატიებდნენ ასეთ გაუფრთხილებლობას, და აბდულა უცებ აცოცდა კიბეზე. ერთი წუთის შემდეგ ათი საჟენის სიმაღლიდან გაისმა ჩაქუჩის კაკუნი, ის ცდილობდა გაენთავისუფლებინა გაჩხირული “ჟელონკა”.

ჭირვეული შადრევანი კი ამ დროს შხეფს ისროდა ღრუბლიდან, და ნავთი, რომელიც შიგნით გუგუნებდა ყოველ წუთში ამოდიოდა ზევით და მილებს თავზე გადასდიოდა. როგორც ეტყობოდა, დუღილი ახალი ძალით განახლებულიყო, და “პროპკას” (ქვებიან სილას) არ შეეძლო ქვევიდან მოწოლილი აირების შეკავება.

უცხად გაისმა საშინელი მიწისქვეშა გუგუნი, ათრთოლდა ჭაბურღილის კოშკურა და ერთ წუთში ნავთის სვეტზე, როგორც გაცოფებული ლომი, ხმაური ამოვარდა ღრულიდან. ერთი წუთის შემდეგ აღარ ჩანდა ჭაბურღილის კოშკურის ზედა ნაწილები, და დამტვრეული ფიცრები ხორცის რაღაც ნაჭრებიანად წამოვიდა ძირს. გრანდიოზულმა შადრევანმა ამოხეთქა, ასე დიდხანს რომ ელოდნენ და ნატრობდნენ და დაიწყო მილიონების ამოფრქვევა...

დილის მზის სხივები თამაშობდნენ ნავთის მტვერში, რომელიც

ამოხეთქილი შადრევნის ირგვლივ იდგა დიდ მანძილზე.

ჭაბურღილის ირგვლივ ფუსფუსობდნენ ასეულობით მუშები. აქვე მოეყარათ თავი ცნობისმოყვარეებს, რომელნიც უსაქმოობის გამო ამთქნარებდნენ და შადრევანს მისჩერებოდნენ. მმართველი და პატრონი საკმაოდ შორს იდგნენ და იქიდან იძლეოდნენ განკარგულებებს. “ამბარი” სავსე იყო, და ტუმბო ენერგიულად ტუმბავდა ნავთს, ნავთის სადგურში. მაგრამ ტუმბო უეცრად გაჩერდა. მემანქანემ მიირბინა, დაათვალიერა ის და სარქველი მოატრიალა, ტუმბო მაინც არ ინძრეოდა. “ასწიეთ მიმღები!” - გაისმა მმართველის ხმა, რომელსაც ეგონა მიმღები სილას დაებჯინაო. მუშებმა ასწიეს მიმღები. ერთი მათგანი ჯოჯგინებზე გადაძვრა და “ამბარში” ჩავიდა, ხელით მოძებნა მილი, იქიდან ამოათრია მრგვალი და მაგარი რაღაცა და მიწაზე გადაისროლა. ეს იყო საბრალო აბდულას თავი...

მუშებს თვალები დაეჭყიტათ და შეძრწუნებული უმზერდნენ დამახინჯებულ თავის ქალას. “სულელი” - წაიბურტყუნა მმართველმა, თითონაც არ იცოდა რატომ, ბრძანა მიწაში ჩაემარხათ თავის ქალა და განზედ გადგა. ტუმბომ კვლავ დაიწყო ტკაცანი, მოსული უსაქმური

ბრბო კი შურით უმზერდა მძლავრ შადრევანს.

1898 წ.



## ციხეში

ირაჟრაჟა. ახმაურდა ქალაქი, ქუჩებში ხალხი სანთლებით ხელში მიდი-  
მოდიოდა, ზარები სამრეკლოებიდან დასძახოდნენ ქალაქს. “ქრისტე  
აღსდგა”! “ჭემმარიტად”! - გაისმოდა ყოველ კუთხეში. ყველანი  
ერთმანეთს ულოცავდნენ დიდებულ დღესასწაულს! ყველას პირზედ  
რადაც სიხარულის ღიმილი უკრთოდა, ბედნიერებას გაეშალა ფრთა და  
მას აჰყოლოდა დედამიწაც. ჯალათი და მსხვერპლი მხოლოდ ერთს  
გრძნობას გაეტაცნა, გრძნობას რადაც სათნოებისას, სიყვარულისას,  
სიძულვილი სადღაც გულის სიღრმეში მიმალულიყო და დილის  
განთიადზედ ძმობა და ერთობა დაჰქროდა, მას დაჰხაროდა  
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მას უგალობდა ხალხის გული, მისკენ  
მიფრინავდა სული და მოტყუებული ოცნება...

- მაშ ასე?!.. - ჩაილაპარაკა თავისთვის რკინის ფანჯარაზე მიყრდნობილმა  
ტუსაღმა და ფიქრებიდან გამორკვეულმა სატუსაღოს მესამე  
სართულიდან გადახედა მის წინ გადაშლილს ქალაქს.

- მაშ აღსდგა ქრისტე?! - გაიმეორა მან კიდევ და მიხედა კარებთან მდგომ  
დარაჯს.

მისი შავი თვალები გაელვარდნენ, შავგვრემან სანდომიან სახეზე  
სიმწრის ღიმილმა გაუთამაშა, ხელები ძალაუნებურად მოეხვივნენ  
სარკმლის რკინებს და გაისმა მგრგვინავი ხმა ციხის მიყრუებულ ჰაერში.

- ქრისტე აღსდგაო, ძმებო! - შესძახა მან თავის მეზობელ მოძმეებს, -  
ქრისტე აღსდგაო! ვერა ხედავთ, როგორ ლიტანიობს ხალხი! ვერა  
ხედავთ, როგორ შეჰხარიათ სიმართლის აღდგენას, ბოროტების  
დათრგუნვას, ძმობა- ერთობის გამეფებას, ცრემლების გაქრობას,  
სიხარულს, სიყვარულს! დაუგდეთ ყური ზარების გრგვინვას, თვით  
ჰაერსაც კი ატყობინებენ ქვეყნის ბედნიერებას! ვაშა, ვაშა, ქრისტიანებო!  
მაგრამ დახედეთ თქვენს ბორკილებს, შეხედეთ თქვენს კარებზედ  
აყუდებულ დარაჯს, სულშეხუთულ თავისუფლებას, სისხლში

ამოსვრილს! დაუგდეთ ყური თქვენს ქვითინს, მოიგონეთ თქვენკენ გამოწვდილი ხელები დედ-მამისა, შვილებისა, სატრფოსი, ძმებისა! გადახედეთ შიმშილს, როგორ იცინის ოცნებით გატაცებულ ხალხის ჟრამულზედ. გადახედეთ, როგორ უჟღარუნებს ბორკილი ამ წუთით გატაცებულ ხალხზედ! გადახედეთ მძინარე ლომს - თავისუფლებას, - როგორ დასჩხავის მას თავზედ ყვავ-ყორანი. აჰა, ეს ჯვარიც, ეს ჩვენი ციხეც, რამდენია ჩვენში ბარაბა, რამდენისათვის აღმართულა ჯვარი და კიდევ რამდენს მოელის! მაშ ალსდგა ქრისტე? სტყუის ზარი, სტყუის სამრეკლო! ოცნებაა ხალხის ლიტანია, სტყუიან ზარები! - დაიძახა მან უკანასკნელად და მოჰხარა სარკმლის რკინები.

- შესდექ! - შეუყვირა დარაჯმა და ტყვიით განგმირულმა გულმა მაინც კიდევ ამოიკვნესა:

- სტყუიან ზარები!..

მხოლოდ მჩქეფარე სისხლმა გასცა უბედურს პასუხი...

1905 წ.

## მიხა დალაქი

ეს ორი სიტყვა უერთმანეთოდ ვერ წარმოედგინათ ს. წიოდას მცხოვრებლებს: მიხა უდალაქოდ და დალაქი უმიხოდ, სრულებით ვერ გამოსახავდა იმ პაწაწკინტელა არსებას, რომელიც ს. წიოდას დალაქი იყო; ეს იმიტომ, რომ ამ სოფელში მიხას სხვასაც ეძახოდნენ. მაგრამ მათში დალაქი გარდა მიხა დალაქისა-კი არავინ არ იყო. და თუ ოდესმე მოგიხდებოდათ წიოდელთან ამ მიხაზე ლაპარაკი, უეჭველად მიხასთვის დალაქიც უნდა დაგერთოთ, თუ არ გინდოდათ თქვენი ლაპარაკი გაუგებარი ყოფილიყო.

მაშინ, და მხოლოდ მაშინ დაასურათხატებდით წიოდელის წინ, როგორც წინათ მოგახსენეთ, ამ პატარა ერთ მუჭა არსებას, მისის პატარა თავპირით, ჩაცვივნილის ლოყებით, მარცხენა თვალის ზევითა უწამწამო დახორცმეტებულ ქუთუთოთი და მარჯვენა თვალით, რომლითაც მიხა თითქოს ყოველთვის ვიდაცას დასცინოდა, პაჭუა ცხვირით, მუდამ დაწკეპილ ულვაშებით, მარადის გაპარსულ ნიკაპით, ტანთან შეხამებული მხრებით, რომელნიც მუდამ უკან გადაზნექილი ეჭირა, რათა გმირული გამომეტყველება ჰქონოდა. დიად, მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა წიოდელი გლეხი, რომ თქვენ ელაპარაკებით იმ მიხა დალაქზე, რომელიც პრტყელის თასმით ქამარზე ჩამოკიდებულის ჩანთა-მანთით, ბეჯითად ამოსხმულის ქალამნებით, შავ ახალუხში კოპწიად გამოწყობილი დაიარებოდა.

დაიარება ვამბობ, მაგრამ ტარება ათასნაირია: დაიარება ისე კი არა, როგორც ყოველი უბრალო მომაკვდავი წიოდელი, სრულებითაც არა! დაიარება ისე, როგორც მიხა დალაქს შეჰფერის, მარცხენა ხელით ჩანთაზე დოინჯი გაუკეთებია, მარჯვენათი ულვაშებს ისუფთავებს, თავი მაღლა უჭირავს, მხრები უკან გადაუშლია და მიდის დარბაისლურის ნაბიჯით თავმომწონედ. მითამ რად არ უნდა მოსწონდეს თავი? უბრალო ვინმე-კი არ გეგონოთ მიხა! ის

წიოდელეებისთვის დალაქიც არის და ექიმიც, ბატონიცა და პატრონიც, ყმაცა და ბრძანებელიც. უნდა ნახოთ, მკითხველო, თქვენის ბედნიერის თვალით მიხა დალაქი ზაფხულობით, როდესაც მთელი წიოდა კალოებზეა გასული და შინ გარდა უძლურ ბებრებისა და ახალის პატარძლებისა აღარავინ დარჩომილა. უნდა ნახოთ და მაშინ თქვენც დამეთანხმებით, რომ მართლა მიხა დალაქი ყმაც არის და ბრძანებელიც მთელის სოფლისა. ეს სხვა დროს დინჯად, დარბაისლურად მოსიარულე კაცი ამ დროს სწორედ ცეცხლია! ტრიალებს, როგორც ჯარა, გადასდის ხვითქი, მაგრამ მაინც დარბის და ხუსხუსებს. იქ პატარძალს ჯორს უკაზმავს წყალზედ წასასვლელად, აქ ბებრუხუნას, ისედაც სისხლგამოფიტულს, ნეკის სისხლს ართმევს, იქ ბაღჩაში ბალახს უთიბამთ, აქ საფქვავს ატანენ წისქვილში და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ, ერთი სიტყვით, ოფლში სცურავს. სამაგიეროდ დიდი უფლებებიცა აქვს ჩვენს მიხა დალაქს მინიჭებული. საცა შევა, ისე განაგებს ამ სახლის თარო-კარცელს, როგორც თავის საკუთრებას; ვენახ-ბოსტნებში ისე დადის, თითქო მისი მამის ნაფუძვარი იყოს. ნეტა არ უნდა ხმა გასცეს ვინმემ! აგერ ინათა და მიხაც გამოჭიმულია დოინჯით მაღლა სერზე, იქიდან დასცქერის თავისს სამფლობელოს და ელოდება: აბა, საით დამიძახებენ, იქით მივაშურო. ისე ბჭყვიალებს ამ სერიდან მიხას გვერდზე ჩამოკიდებული ყბამოჭრილი ტაბტი, რომ კაცს მეორე მზე ეგონებოდა, მხოლოდ ჩრდილოეთიდან ამოსული. პატარძლებმაც იციან ჩვეულებრივი მიხას სამეველო კოშკი და დიდხანს არ ალოდინებენ. მიიდევენ შუბლზედ ხელს და ეძახიან:“მამამთილოო! აქ ჩამობძანდი, წუხელის ვირი მგელმა დაგვიგლიჯა და უწამლე რამე”. “ვაი, შენ ჩემო თავო”, წაიბუტბუტებს მიხა და ერთს წუთს დანიშნულს ადგილას გაჩნდება, გადმოალაგებს თავისს ჩანთა-მანთას, ამოშლის ჯიბიდან სააფთიაქოს და მერე წყნარად, თითქოს “საიდუმლოს” ასრულებსო, შეუდგება ოპერაციას. თან უჯავრდება, რატომ არ დამიძახეთ მგელი რომ მოგივარდათ, ერთი მეტაცნა იმისთვის ყურებში ხელიო. მაგრამ იმისთანა ბედნიერი წუთები, იმისთანა შემთხვევა მთელის თავისის დიდების

გასაშლელად, როგორც მანდილოსანთა ბელადობაა (თვით მიხა ასე ეძახდა), სხვა არა იყო-რა მიხას სიცოცხლეში; ის კი არ გეგონოთ, ვითომც მიხა დალაქი მუქარის თითით, ან ამოღებულის ხმლით მიუძღოდა მანდილოსანთ მომდგარ მტერზე რისხვის დასაცემად. არა... ის მედიდურად, დარბაისლურის ნაბიჯით მიუძღვებოდა ილიაში ბოღჩა ამოჩრილს პატარძლებს სოფლის ბოლოს ვენახებში ცერცვ-სამარხვ-ლობიოს მოსაკრებად; ბედნიერი იყო, ბედნიერი ამ დროს მიხა დალაქი! დღეს მას ჰქონდა ჩაბარებული მთელი სოფლის მანდილოსანთა პატიოსნება, დღეს იგი იყო გმირთა გმირი, რომელიც ვინიცობაა შემთხვევას მოეტანა, უნდა გაჰმკლავებოდა ამონკედილის სამართებლით მარტოდ... ვის? თვითონაც არ იცოდა ვის!

“მიხა დალაქს გაუმარჯოს”, აძლევენ სალამს გამვლელ-გამომვლელნი მანდილოსანთა ბელადს. მიხა ჯერ მარცხენა თვალის ქუთუთოს აათამაშებს სიამოვნების ნიშნად, მერე მარჯვენა თვალით გადაჰხედავს მათ ისეთნაირად, თითქოს ეუბნება: “ჰა, ცოტა განზედ დამცილდით, ხომ ჰხედავთ ვის მოუძღვები - თორემ...” ბოლოს ჩაახველებს და დაატანს ზედ თავ-გაზვიადებული: “გაგიმარჯოს”. დღეობა-ქორწილებში რომ გენახათ, ხომ სწორედ დიაგორის მდგომარეობაში იყო. მიწაზე ფეხს არ დააკარებინებდნენ ახალგაზდა ბიჭები, სულ ხელიდან ხელში გადაჰყვანდათ ობოლი მარგალიტივით. მღვდლის მერე სუფრაზე ალაგი იმას ეჭირა. მღვდლის მერე კერძს მას მიაართმევდნენ, ძალიან დაახლოვებული და შეხუმრებულიც იყო მიხა დალაქი მღვდელთან, აბა მას აქეთ რამდენი ხანია და წიოდლებს ეხლაც ახსოვთ, ერთხელ აღდგომის დღეს რომ ასე უთხრა მღვდელს: “ნეტა, მამაო, ი ხენწიფე იმპერატორმა იმითანა უქაზი-კი გამოცეს, რომა ღვდელეებმა დღეის ამას იქით თავი და წვერი უნდა იკრიჭონო”. “მერე შენ რა?” - ჰკითხა მღვდელმა. “ისა მამაო, რომ, - მიუგო მიხა დალაქმა, - ეს თქვენ რომ სხვასა ჰკრეჭამთ, ერთი მეც მენახა თქვენი ნაკრეჭის გემო”. დაჰკრა ხალხმა ტაში და დაიწყო ხარხარი.

მარტო ლხინსა და წვრილმანს საქმეში-კი არ იღებდა მიხა მონაწილეობას.

არა ის ჭირშიაც ყველას მამიდა იყო და ყველას ჭირისუფალი. აგერ სოფლის სასაფლაო მოფენილია ხალხით და თვით საფლავები ტაბლებით. მიხა დალაქიც აქ გახლავთ. ხან ერთს საფლავთან მივა, დაიზუზუნებს, ხან მეორესთან, თანაც ლურჯი ხელსახოცით თვალებს იწმენდავს... არ-კი გეგონოთ, ვითომ ფლიდობით მოსდიოდეს ეს მიხას. არა, მიხა დალაქი და ფლიდობა!?.მართალია უნდოდა დაენახვებინა ტაბლის პატრონისათვის: “ჰა მეც აქა ვარ, გარიგებაში ჩემს წილს ნუ დამაკლებთო”, მაგრამ ისიც სწორია, რომ მიხა დალაქს მართლაც გული შესტკივოდა მიცვალებულისადმი. ზაფხულში, როდესაც კაცის ჭაჭანება არ იყო წიოდამი, სიცოცხლითვე გამოტირებული ბებრუხანები დაუმარხავნი დარჩებოდნენ, თუ მიხა დალაქი არ იქნებოდა; იგი მეწისქვილე ბეროს შემწეობით გასთხრიდა ყოვლად-წმიდის ფერდამი საფლავს, შეუკვეთდა კუბოს, მოიწვევდა მღვდელს და დიდის თავში ცემით, მოთქმით და მოძახილით მიაბარებდა მიცვალებულს შავს მიწას. მეწისქვილე ბეროსთან ძმად იყო გაფიცული. პატარაობაში, როდესაც ჯერ ისევ კოჭაობას თამაშობდა, ბეროსა და იმას მოეწონათ ერთმანეთი და “წამწამი დანაყეს” ძმობის ნიშნად. მას აქეთ არ უღალატნიათ ერთმანეთისათვის. სულითა და გულით უყვარდა მიხას ბერო და ბეროს მიხა დალაქი. ერთს დღეს რომ არ ჩასულიყო მიხა წისქვილში, ბერო მას საყვედურით აავსებდა: “რა არის კაცო-და, დამივიწყე და, აღარ მამხედე-და, იქნება ვკვდებოდი და არ უნდა მომხედო?”.. “სადა მაქვს მოცლა, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ თავბრუ მეხვევა საქმისაგან: იქით მიდექ, აქეთ მოდექ, იქ წადი, აქ წამოდი და მეტი დღეც აღარ არი, ხო იცი, ერთი სოფელია და მე” - უპასუხებდა მიხა ფქვილისაგან ჯანიანად გათეთრებულ ბეროს. მერე დასხდებოდნენ წისქვილ წინ, მოიგონებდნენ თავიანთ წარსულს, გამოიტირებდნენ თავიანთს ჯეელ ბიჭობას, აქედან გადავიდოდნენ იმაზე, თუ ამ წელს კალოობა როდის გათავდება, რამდენი ქორწილი იქნება ამ შემოდგომაზე იმათ სოფელში, რამდენი დასამარხი ეყოლებათ ამ ზაფხულს; მეტადრე ამ უკანასკნელში თავის დღეში არ მოტყუვდებოდნენ. სულ თითებზე ჩამოგითვლიდნენ,

რამდენს, ან ვის ბებერს აქვს სიკვდილის დრო. აქ მიხას რაღაც მოაგონდებოდა და ცრემლებით აევსებოდა თვალები. “ჰე, დაგელოცა ღმერთო სამართალი, ასის წლის ბებრები ცოცხლები არიან და ჩემი თინანი კი გვირგვინ ქვეშ გამომაცალე”. იტყოდა ამას და მოჰყვებოდა ქვითინს. განა სატირელი არა ჰქონდა? მისი თინანი, მისი მშვენიერი თინანი ბეროს ნათლიდებდა! ამოუჯდებოდა ბეროსაც გული და სლუყ-სლუყებდა. დიად, მიხას ერთს დროში მეუღლე ჰყვანდა და სიკვდილმა “გვირგვინ ქვეშ გამოაცალა”, თუმცა ამაში სტყუოდა მიხა დალაქი; გვირგვინს ქვეშ-კი არა, სწორედ თხუთმეტი წელიწადი ეწეოდა გურგენიანთ თინანი ხეტელაანთ მიხასთან უღელს; მაგრამ ყველაფრის გაზვიადება უყვარდა მიხას. ეხლაც ისე არ გადაივლის ყველა-წმიდის ფერდაზედ, რომ არ ჩასძახოს თინანის საფლავს: “ადამიანო, რად დამაობლე, რად დამისხი ცეცხლზედ წყალიო”. ეჰ ნეტა იმ დროს, როდესაც მიხა დალაქი თინანის შეჰღირღიტებდა. რა ბიჭი იყო მაშინ, რა ბიჭი თავზე, მამალს ბუზს არ ისობდა. კოხტა, ახლა როგორი კოხტა! ხანდისხან დარდიმანდობაში თავს სდებდა, თუმცა ღვთის წინაშე მიხას დარდიმანდობისა არა ეტყობოდა-რა. “ბევრი გოგოსთვის ამიტოკებია გული”, ეხლაც იტყოდა ხოლმე მიხა დალაქი ჯეელ ბიჭებში. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, ხოლო ის კი ვიცი, რომ გოგოები მიხას “გირვანქას” ეძახოდნენ მეტ სახელად და ხანდისხან ფანტაზიით მორთულს თავგადასავალს რომ მოჰყვებოდა ჯეელებში, უცებ მოაგონდებოდა ეს გულსაკლავი სიტყვა “გირვანქა”, გასწყვეტდა ლაპარაკს და ალმური აედინებოდა სახეზედ, თითქოს ქურდობაში დაიჭირესო. ამ უკანასკნელს დროს მიხას კვლავ აუფუნდრუკდა გული. ტატალაანთ სოფიოს შერთვა მოინდომა. ბერო მაჭანკალი იყო. საქმე საქმეზედ იყო მიმდგარი, მაგრამ... მაგრამ, ჰე, ნეტავი ეს კი არ მოაგონდებოდეს და! ეხლაც სირცხვილით იწვის. მთელი სოფელი აყაყანდა, ქალები საცა-კი დაინახავდნენ მიხას, რომ არ გაეცინათ, არ შეიძლებოდა და ბიჭებმა შაირიც-კი გამოუთქვეს და წიოდას დარბაისელნი ყურში ასმენდნენ. “გაგიჟდა, სამოცი წლის კაცი ცოლს ირთამსო”. ერთი სიტყვით, ძალიან აწყენინა მიხას სოფელმა,

თუმცა განზრახვაზე ხელი ააღებინეს, მაგრამ მთელი ორი თვე გულხელდაკრებილი, იმისთანა მწუხარე სახით დადიოდა, რომ თითქოს შეურთავს ორმოც-და-ათის წლის ტატალანთ სოფიო, ახლა მოუკვდა და იმას გლოვობსო. “ჰე, თუნდა შამერთო, მე ის თინათინობას ვერ მიზამდაო”, დაატანდა ხოლმე მიხა, როდესაც თავის სიყრმის მეგობარს ბეროსთან ერთად გამოიტირებდა კარგა ხანია გარდაცვალებულს თინანის. მერე ხმელის პურით და ცივი წყლით გაიგრილებდნენ გულს და გამოემშვიდებოდნენ ერთმანეთს. ნახევარ საათის შემდეგ ამოჰყოფდა მიხა თავს ისევ წიოდაში. ასე და ამგვარად მიგოგავდა მისი ცხოვრება. ბედნიერი იყო მიხა დალაქი, იგი მთელს წიოდას უყვარდა და ბედნიერი იყო წიოდა, იგი მიხა დალაქს უყვარდა. მაგრამ ერთს ზამთარს მთელს წიოდას თავზარი დაეცა. აღარ ჰყვანდათ მიხა დალაქი! იგი საუკუნოდ გამოემშვიდობა წიოდას და თავის თინანისთან წავიდა წიაღსა შინა აბრაამისასა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი: შობის წინა დღეებში მიხა როგორღაც ხაზმუზიანობდა, ამბობდა, მჭვალი მადგაო. წიოდელებს, ცოტა არ იყოს, არა სჯეროდათ, რადგანაც მიხამ ხანდახან განებივრება იცოდა. ყველანი ბედნიერის დღის მოლოდინში იყვნენ, ემზადებოდნენ, მხიარულად შეჰგებებოდნენ შობას. ამ ფაცაფუცში იგი არავის გაჰხსენებია. თურმე ამ დროს საწყალი მიხა-კი თავისს პატარა ქოხში, რომელიც სოფელზე ცოტა მოშორებით იდგა, სიკვდილს ებრძოდა, და როდესაც ბერომ კარები შეაჭრიალა, რათა თავისი მეგობარი ხვალისათვის გოჭის თავზე დაჰპატიჟოს, რა წარმოუდგა მის თვალებს! მიხას ფეხები თავთან მიუტანია, მოკრუნჩხულა ჭიტი გორგალივით და განუტევებია სული. ბერომ კარგა ხანი უცადა გაშტერებული. მერმე ხელი შეახო და ისეთი დაიღრიალა, რომ ქოხის ჭერმა ზანზალი დაიწყო. ერთს წუთს მთელს წიოდაში ელვასავით გავარდა ხმა: “მიხა დალაქი აღარა გვყავსო!” რიგისა გამოდიოდა მიხას სახლიდან, რიგისა შედიოდა, რათა მისი ობოლი გვამისთვის ცრემლი დაეფრქვიათ. ბერო კი ერთს წუთსაც არ მოჰშორებია მიცვალებულს. პირველი ჭირისუფალი ის იყო უნათესავო მიხასი და მას მიუტირებდნენ ხოლმე. დამარხეს მიხა



სოფლის ხარჯზე. ან ვინ რას დაიშურებდა მისთვის; თავისი დღენი წიოდელების სამსახურში დალია მან უსასყიდლოდ, დამარხეს იგი თინანის გვერდზე. ეს ბერომ მოიწადინა. გულუბრყვილო ბერომ, რომელმაც უკანასკნელად ჩასძახა საყვარელ მეგობარს საფლავში: “გრცხვენოდეს, მიხავ, რომ არ შემატყობინე, როცა ჰკვდებოდით”. საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხვა შენი, მიხა დალაქო. მე ამას ოცის წლის ამბავს მოგახსენებთ. დიად, მას აქეთ ოცი წელიწადი გავიდა, მაგრამ წიოდელებს ჯერაც არ დაჰვიწყებიათ საყვარელი მიხა დალაქი. ეხლაც მანდილოსნები ისე არ ახსენებენ მას, რომ არ დაიზუზუნონ ნახევარ სიმღერის ნახევარ ტირილის ხმაზე, ისე, როგორც ძველ მკვდრებზედ ტირიან ხოლმე. მამაკაცნიც, რომელთაც კარგა ხანია მოუმთელდათ ნიკაპზე მიხას სამართებლის ღრმად გატანილი კვალი, ხშირად იგონებენ მას სინანულით და ზედაც დაატანენ: “ჰე, იმისთანა დალაქი “ჰე-და-ოლმასო!”

1895 წ.

### მწყემსი გაგნა

ჰიი... ჰეე... ჰი... ჰეე...

მიუსტვენს გაგნა აღმართ-აღმართ და მიერეკება თავის სამწყემსოს: კუდვარდა ხარს, კოჭლ ცხვარს და წვერცანცარა თხას.

დაჭრელებულ კომბალს ხან მხარზედ გადაიდებს, ხან ჩირგვებს უბარტყუნებს.

- ჰა-ჰაი, შე სამგლევე, შენა. - დასწყვილებს ხანდახან და თან ყურს უგდებს თავის ხმას, - აცა, ისე ვჰყვივი, როგორც დიდმა მწყემსებმა იციან, თუ არაო. მაგრამ ხმაზედ კარგად ატყობდნენ ცხვარიც, თხაც და კუდვარდაც, რომ უკან მოსდევდა პარკუჭუნა გაგნა, რომელიც მთელი ზამთარი კომბალს აჭრელებდა. გუდას წარამარა აიკიდებდა ზურგზედ და გამოეჭიმებოდა ბოსელში: “მზად იყავით, სითბო ჩავარდება თუ არა, საბალახოზედ უნდა

გაგრეკოთ, ასე სთქვა პაპამაო”.და, აი, დადგა ეს დროც. დათბა. თოვლი აიღო. მინდორს, ქედებს, მწვანე ფერმა დაჰკრა, ბალახმა ზევით ამოიხედა. ტყეს ნეკერში წყალი ჩაუდგა, ერთი სიტყვით, გაჩნდა გაგნას სამწყსოსთვის სასუსნავი.მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა გასაჭირი გაგნას. ამ სერის გადაღმა, სადაც ახლა თავისი სამწყსო მიუდიოდა და რომელიც სულ ახლო მანძილიდან მათ სოფელს თავზედ დასცქეროდა, ჯერ გაგნას არ გადაეხედნა, არ ყოფილიყო სერს იქით მხარეს, არ იცნობდა იქაურობას. მხოლოდ სერის აქეთ მხარეს, სოფლისაკენ, გაზაფხულობით და ზაფხულობით ჰკრეფდა იას, მაყვალს, მარწყვს და ჩიტის ბუდეებს ეძებდა.მაგრამ ესეც არაფერია გაგნასთვის, ეგ არის, ის წვერცანცარა თხა არ უგონებს, გარბის ყველაზედ წინ, ხან რომელ ბუჩქს ამოეფარება, ხან რომელს. კუდვარდაც არაფრად აგდებს, მიდის ზანტად, მიიზღაზნება თავის ნებაზედ, ხანდახან შედგება და მიიხედავს უკან კუდის ქნევით, თითქოს რაღაც უნდა უთხრას გაგნასაო, კოჭლმა ცხვარმა ხომ მთლად გაუჭირა საქმე, ოფლში გასწურა, ცალ ფეხს ძლივს მიათრევს, ლამის წაიქცეს, გაგნა ხან უკანიდან აწვება, ხან რქებით მიათრევს.

როგორც იყო, ავიდნენ სერზედ; თხამ პირველმა ადგა ნაბიჯი მის მწვერვალზე; იმას მიჰყვა კუდვარდა და შემდეგ აკოჭლდა ცხვარიც. მაგრამ გაგნა კი მთლად პირდაღებული დარჩა; ცა ძალიან შორს იყო მისგან,ხელით კი არა, ათიათასი კიბითაც კი ვერ შესწვდებოდა, შორიდან კი ისე ეჩვენებოდა, თითქოს ცა ზედ სერზედ იყო გადაგუმბათებული, ავალ თუ არა იქ, ადვილად შევწვდები ხელითაო. სერს იქით ხშირი ბუჩქები ერთმანეთში გაბმულიყო, მათ შუა პატარ-პატარა კალოსავით დარჩენილ მინდვრიანებზედ ბალახი ბიბინებდა. ცოტა ქვევით წყაროს ჩხრიალი მოისმოდა. მოუსვენარი შაშვი ხან ერთ ბუჩქში ჩაფრინდებოდა სტვენით, ხან მეორეში. ჩხიკვს ერთი ვაი-ვაგლახი გაჰქონდა, თითქოს იმას დარჩენია იქაურობაო. სავარცხელა ოფოფი მიწას ჩიჩქნიდა ნისკარტით. ჩიტი- ჩიორა ერთმანეთში ირეოდა.სამწყსო გაიშალა. თხამ ნეკერს მიაშურა, კოჭლი ცხვარი იქვე გაგნას გარშემო ხინხილით უვლიდა და სძოვდა მწვანე ბალახს, დინჯი კუდვარდა კი ფშვენით

მისდევდა ერთ კვალს ძოვნითვე-გაგნამ ახლა თავიანთ სოფელს გადაჰხედა, აგერ მათი უბანი, მათი სახლიც. პაპა ყუდროზედ ზის, მეზობლიანთ ბუთხუზა ეზოში თავის პატარა ურემს დააგორებს. გაგნა გაიჭიმა, ჯოხი ცალი ხელით განზედ გაიტანა, მეორეთი დოინჯი შემოიყარა.

- დედი... დედი... რა ღრიალაა და! - აჯავრებს გაგნა გუნებაში ბუთხუზას. - სამწყემსოდ კი არა, წყაროზედაც კი ვერ წასულა ჭიჭილით, რომ წყალი მოიტანოს. აბა, თუ ბიჭია, აქ ამოვიდეს, აი! - წაიფურუნა გაგნამ, მერე მოიხსნა გუდა და გადაწვა გულადმა.

- ჰიი-ჰეე-ჰიი-ჰეე, - უსტვენს გაგნა სამწყსოს და თან ოცნებობს, მათი თხა როგორ მოიგებს ციკანს, გაიზრდება - გახდება თხა, ისიც ციკანს მოიგებს, ცხვარი - ბატკანს და გაუმრავლდება სამწყსო.ზაფხულობით მთაში გარეკავს, ზამთრობით ბარში ეყოლება. პაპას რო ერთხელ მთაში დათვი შეჰხეჩებოდა! შიგ გულში ვახალე თოფიო! რაო, მე კი შემეშინდება თუ! ამ კომბლით შუა გადავურჩეხავ თავს. ჰიი... ჰეე... - ჰიი... ჰეე... ძოვეთ, ძოვეთ ჩემო ბეკეკებო!

ცოტა არ იყოს, გაგნასაც მოშივდა. ხუმრობაა, პატარა მანძილი კი არ გამოიარა! მეორეც, ეს მწყემსის წესია, მინდორში პური უნდა ჭამოს, გამოტეხა გუდიდან პური და დაწოლილი შეექცა.

- უჰ, დედავ! როგორ გარბიან ცაში ღრუბლები და, - მიაჩერდა გაგნა ახლა ღრუბლებს. - ხან სახლებს აშენებენ, ხან ერთმანეთს ეჩხუბებიან. ბიჭოს! ერთი სულ მთლად ჩემს კოჭლ ცხვარს დაემსგავსა, თავიც რო იმას მიუგავს, ძლივს მიხანხალებს. ერთი, ორი, სამი, - სთვლის გაგნა ღრუბლებს, - ჰეი, ჰეი, რამდენია და... ნეტა ერთი კი ჩემი იყოს. - ნატრობს გაგნა.

- მი-ი-ი... მი-ი-ის - მოესმა ამ დროს უცებ

საიდანღაც ციკნის ხმა და ზეზედ წამოიჭრა. ან რა დროს ღრუბლები- და იყო, როდესაც თხას ციკანი მოუგია!

- მი-ი-ი, მი-ი-ი... - კიდევ გამეორდა კიკინი.

- ის არი, ის! ციკანია, ნამდვილად ციკანია! - დარწმუნდა გაგნა და ბუჩქებისაკენ გადაეშვა. ჩაირბინა ქვევით. მიათვალ-მოათვალიერა, მაგრამ ციკანი კი არა, თხაც არსად არა სჩანდა.

- მი-ი-ი... მი-ი-ი-შუ! მი-ი-ი-შუ! მი-ი-ი-შე!

- რა ვქნა, ციკანი თუ კიკინებს, ეს “შუ” რაღასია? - ფიქრობს გაგნა.

- კაჭ-კაჭ.. ოფ-ოფ!

- ეჭე, კაჭკაჭმაც რო მახარა! უეჭველად ციკანია, უეჭველად!

- ოფ-ოფ - მიაუ - ოფ-ოფ - მიაუ!

- რა ვქნა, რატო ან ოფოფი არსად სჩანს, ან კატა. მერე კატას რაღა უნდა აქ? იქნებ ჩვენი ფისო გამომყვა? - ეკითხება თავის თავს განცვიფრებული გაგნა და ერთი ბუჩქიდან მეორესთან გადადის, ხან ქვეშიდან შეხედავს, ხან ზევიდან აცეცებს თვალებს.

- მი-ი-ი... მი-ი-ი! - მოესმა კიდევ ციკნის ხმა გაგნას.

- საიდან კიკინებს ის ოხერი, ისა! - ჯავრობს გაგნა და ძლივს-ძლიობით მიარღვევს ბარდებს. ხან ეკალი ედება, ხან მაყვალი სწევს უკან, მაგრამ გაგნა მაინც მისდევს ციკანს. თითქოს მის წინ, იქვე, ბუჩქებში, უნდა იყოს; მივა, მიათვალ-მოათვალიერებს, მაგრამ ციკანი მაინც არსად არა სჩანს.

- მი-ი-ი! მი-ი-აფ! აფ! აფ!

- რაო, “აფ - აფ - აფო!” ძალღიჯ იყეფება!

ახლა კი ჟრუანტელმა დაუარა გაგნას. იქვე, მის ახლო, საიდანღაც ძალღიჯ იყეფება! ვინ იცის, იქნებ ცოფიანიც არის, ჰა? გაგნას მუხლები აუკანკალდა, თვალები ისე გამოეჭყიტა, კინაღამ ქუთუთოებიდან გადმოუვარდა.

- მი-ი-ი - აფ! მი-ი-ი - აფ!

- ვაიმე! ცოფიანი ძალღიჯ! - ახლა კი უეჭველად დარწმუნდა გაგნა და ღრიალით გაქანდა სერის წვერისაკენ.

- ჰაჰაი, პაპავ, ჰაი-ჰაეე... მიშველეთ, ცოფიანი ძაღლი გამომიდგა და თხამაც ციკანი მოიგო! - ღრიალებს გაგნა სერიდან, რაც ძალი და ღონე აქვს, თავიანთი სახლის გასწვრივ და თან ცრემლები მოსდის თვალებში. პაპასთვის კი ზარბაზანი რომ დაგეცალათ ყურის ძირში, იმასაც ვერ გაიგონებდა, არამც გაგნას ხმა გაეგონა.

- ჰაჰაი, პა...

- რა გაღრიალებს, ბიჭო, რა იყო? - შეეხმაურა ამ დროს ვიღაც ახლოდან და გაგნას პირი გაღებულნი დარჩა.

ბუჩქებიდან მათმა მეზობელმა ივანემ ამოჰყო თავი.

- მიშველე, ძიავ, აგერ იქ, - გაიშვირა ქვევით ხელი, - აგერ იქ თხამ ციკანი მოიგო და მის ძებნაში ის ოხერი ცოფიანი ძაღლი გამომიდგა.

- სად, აბა, სად არის ციკანი, ან ცოფიანი ძაღლი სად იყო? - კიდევ შეეკითხა ივანე, მიუახლოვდა გაგნას და გაიხედა იქით, საითკენაც თითს უშვერდა.

- აგერ, ძიავ, აგერ იქ, დიდი ბარდები რო მოსჩანს, - გაიშვირა კიდევ გაგნამ ცალი ხელი ბარდებისაკენ და მეორეთი ნამტირალევი თვალები ჩამოიწმინდა.

- აბა წამოდი! - უთხრა ივანემ და გაეშურა გაგნას ნაჩვენები ბარდებისაკენ, თანაც წალდი, რომელიც ფიჩხის დასაჭრელად წამოეღო, გამოიძრო წელიდან და ხელში მოიმარჯვა... “ვინ იცის, იქნებ მართლაც ცოფიანი ძაღლიაო, ” - გაიფიქრა გუნებაში ივანემ.ორივენი ბუჩქებში შევიდნენ, მიათვალ-მოათვალაიერეს იქაურობა, მაგრამ არსად არ სჩანდა არც ციკანი და არც ცოფიანი ძაღლი.

- მი-ი-ი - აფ! მი-ი-ი - აფ!

- აი შენ და დარდუბალა! - მიაძახა ივანემ ჩხიკვს, რომელიც ბუჩქებიდან ხან ციკანს აჯავრებდა, ხან ძაღლს. - ბიჭო, ეს ხო ჩხიკვი კიკინებს და ჰყეფს, რის ციკანი, რის ძაღლი?!

- ჩხიკვი?!

- ჰოო, ჩხიკვი, ჯაფარა, გესმის თუ არა?! იმან იცის ხოლმე, იმ ოხერმა, რასაც გინდა, იმას გააჯავრებს: ციკანს, თხას, ძაღლს, კატას, ოფოფს და, ვინ იცის, კიდევ რას არა. აგერ, აგერ, ვერ ხედავ, სად იქნევს ბოლოს ის ეშმაკი, ისა! - გაუშვირა ივანემ თითი გაგნას მაღლა ხისაკენ.

იქ, მართლაც, ერთ ტოტზედ ჯაფარა მოუსვენრად ტრიალებდა, ხან ციკანივით კიკინებდა და ხან ძაღლივით იყეფებოდა.

- არა, ჩხიკვმა როგორ შეგაშინა, ჰა, შე მშიშარავ, შენა? - დასცინა რამდენჯერმე ივანემ თავჩაღუნულ გაგნას და გასწია ფიჩხის მოსაჭრელად.

დარჩა მარტო გაგნა, მართალია, გული დაუმშვიდდა, მაგრამ ივანესთან კი შერცხვა. ნეტა უბნის ბიჭებს მაინც არ უთხრას ძია ივანემ ჩემი ამბავიო, - ნატრობს გულში გაგნა და თან ჯაფარას ემუქრება ასეთი შერცხვენისათვის. ჯაფარა-კი, თითქოს ჯიბრზედ, შორიდან ისევ ისე ხან ციკანივით კიკინებდა, ხან ძაღლივით იყეფებოდა, თითქოს დასცინოდა გაგნა მწყემსის გულადობას.

1911 წ.

### უბედური ქორბუდა

წავიდეთ, გავშორდეთ ამ ოხერ ქედებსა და ტყეს, თორემ, ვიცი ცოცხალი არცერთი არ გადავრჩებით ამ ზამთარს! - მირჩევდა ჩემი მეგობარი, ჩემი განუყრელი ამხანაგი ქორბუდა, რომელსაც ეს სახელი ირმებმა დიდი რქების გამო დაარქვეს.

მირჩევდა და მართალიც იყო. საშინელი ზამთარი დაგვიდგა; ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ მთლად დაფარა ჯაგები, ჩირგვები: დიდრონ ხეებს ნახევრად ასწვდა; ზოგი მათგანი ისე დაიტვირთა ზევიდან, რომ მოხუცივით წელში მოიხარა, ზოგიც თოვლზე წამოიქცა. აღარსად სჩანდა გზა და კვალი, არ გაირჩეოდა, სად იყო ნაპრალი, სად იყო კლდე და ღრე. სიცივისაგან ყვავიც კი ველარ აღებდა პირს, რომ დაეჩხავლა. ვინ იცის,

რამდენჯერ გადავიჩეხეთ ნაპრალებში, რამდენგან შევლებეთ თეთრი თოვლი ჩვენი სისხლით! საჭმელიც მთლად გამოილია. ნეკერი აღარსად ჩანდა, ზამთრის ბალახზედ ხომ ლაპარაკიც კი მეტი იყო. ძირს დედამიწას ვეღარ ვაწვდენდით პირს და მაღლა - ხეებს. ერთი სიტყვით, აღარ გვედგომებოდა მთაში. ძალაუნებურად უნდა მოგვეძებნა სხვა რამ მხარე, სხვა რამ ადგილი და საით წავსულიყავით, თუ არა ბარისაკენ. ბარში, რასაკვირველია ნაკლებად იქნებოდა თოვლი, სიცივე და საჭმელსაც იქ უფრო ვიშოვიდით.

ერთ საღამოს ქორბუდამ რქები მხრებზედ გადაიწყო, შემომხედა და გაიშვირა წინ ცხვირი: “იქით, იქითო”. ბატონი ხარ მეტქი, დავუკარ მეც თავი თანხმობის ნიშნად, და გავწიეთ ბარისაკენ. ის წინ მიდიოდა, მე უკან მივდევი; მივდიოდით ფრთხილად; მართალია, არა ბნელოდა, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ სხვა ათასი საფრთხე გველოდა, გვეშინოდა, მტერს არსად წავწყვეტოდით. მშვირებმა, დაღლილ-დაქანცულებმა, როგორც იყო, გათენებამდე მივალწიეთ ბარს. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ გამეხარდა! მთას შემდეგ ბარის ჰავა გაზაფხულად მეჩვენა. ჭალაში კარგა გულიანად ვისაუზმეთ და მივაგენით პატარა ფშანსაც, სადაც წყლით გული ვიჯერეთ. შემდეგ ქორბუდამ მიათვალ- მოათვალიერა იქაურობა და, რომ დავრწმუნდით, ჩვენს ახლოს არავინ იყო, წამოვწექით. მეგობარმა კისერზედ ხელი გადამადვა, მივეთბუნეთ ერთმანეთს და ვისვენებდით ასე. მომაგონდა მთა, მომაგონდა, რა საშინელი შიმშილი და სიცივე გამოვიარეთ: მაღლობის ნიშნად ვეალერსებოდი ქორბუდას; მაღლიერი ვიყავით ორივე ჩვენი ბედისა, გადავრჩით შიმშილით და სიცივით სიკვდილს.

მაგრამ ვაი, რომ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი ბედნიერება! უცებ რაღაც ხმაურობა მოგვესმა. ჩვენ, ირმები, ენით არ ვლაპარაკობთ, არამედ თვალებით. მე და ქორბუდამაც ერთმანეთს შევხედეთ: “ნეტა რა ამბავი იქნება, საფრთხე რამ ხომ არ მოგველის?” - ვეკითხებოდით ერთმანეთს. “მგონი ვიღაცეები გვიახლოვდებიან” - მითხრა ქორბუდამ და ზეზე წამოიჭრა, გადახტა ჭალის პირისაკენ და გახედა მინდორს.

“ჰაფ! ჰაფ! ჰაფ!” შემოგვესმა ძაღლის ყეფა; დავინახეთ, რომ ძაღლი ჩვენსკენ მორბოდა, მორბოდა კი არა, თითქმის მოფრინავდა და თან “ჰაფ-ჰაფს” იძახდა.

“ირმის კვალია, ირმის, აბა, ქორისჯან, ქორის, უჰ, შენ კი გენაცვალე მაგ ნახტომში!” - ისმოდა აქეთ-იქიდან. ეჭვი არ იყო, “ქორისას” იმ შავბეწვა ძაღლს ეძახდნენ, რომელიც ჩვენსკენ მოფრინავდა, რადგან წახალისებულმა უფრო უმატა კამარას.

“მტერია, თავს ვუშველოთ” - მანიშნა ქორბუდამ და გადახტა ფიჩხიანებში. რქები მხრებზედ გადაიწყო და ისე მიაღწევდა ხშირს, აყრილ ჭალას. მე უკან მივდევდი, მალე სულ ახლოს მოგვესმა ქორისას ხმა. მაგრამ ის ახლა მარტო აღარ იყო, იმას ბანს სხვა ძაღლებიც აძლევდნენ. ეჭვი არ იყო, მტერი ბევრად უფრო მეტი გვესეოდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

“ჰაუ! ყურმა, ჰაუ! ჰაი, ჰაჰაი!” - გვესმოდა აქეთ-იქიდან. ჩვენ თავქვე მივაშურეთ, ქორისა სულ ახლოს მოგვდევდა, მაგრამ რა გვექნა, რით შევბრძოლებოდით? ბუნებას ჩვენთვის არაფერი საბრძოლველი იარაღი არ მოუცია და, ვერიდებით კიდეც სისხლის ღვრას. ჰო, თავქვე დავეშვით, გაველით კიდეც ჭალას, მაგრამ დახეთ ჩვენს უბედურებას: გზა გადაეჭრათ, წინიდან მონადირეები შეგვეფეთნენ.

“ბუჰ, ბუჰ, ზუუ... წუუ!..” - დაიგრიალა თოფებმა და ტყვიამ ყურებში გამიწივლა. მე შიშით წავიქეცი, ქორბუდა ყალბზედ შედგა და უკან გადაქანდა. “ყოჩად, გაბრო, შიგ გულში გაუარა შენმა ტყვიამა,” - დაიძახა ვიღამაც. ერთ წუთს თავბრუ დამესხა, სიკვდილმა ელვასავით წინ გამიქროლა, მაგრამ ისევ მალე წამოვიჭერ ზეზე და დავედევნე ქორბუდას, რომელიც გამშაგებული გარბოდა ჭალაში. ერთი-ორი კამარა - და წამოვეწიე ამხანაგს. გაბროს ტყვია ამცდენოდა, დაჭრილი არ ვიყავ. შუა ჭალას რომ მივალწიეთ, ქარი ამოვიღეთ და ყური დავუგდეთ, საიდან მოდიოდა ხმაურობა. ჩამი-ჩუმი არსაიდან არ ისმოდა, მხოლოდ ქორისა გვიახლოვდებოდა თანდათან ყეფით. “მთისკენ, ისევ მთისაკენ! - მანიშნა



ქორბუდამ და ერთი ისეთი კამარა შეჰკრა, მეგონა, ძირს აღარ დაეშვება და სულ ასე იფრენს მეთქი. “ჰაფ! პაფ! ჰაფ!” - შემოგვეფეთა წინიდან ქორიას ამხანაგი. ძაღლებს ამ მხრიდანაც მოევლოთ. მეტი ილაჯი არ იყო, გვერდი ავუქციეთ, გამოვტრიალდით მარჯვნივ და ისრებივით გავქანდით იქით, საიდანაც არაფერი ხმა არ მოისმოდა. აჰა, კიდევ მივალწიეთ ჭალის პირს, გავალთ, გავატანთ მახეს, გავარღვევთ ალყას და ისევ მთისკენ მოუსვამთ. სულ ორი-სამი ხელა გვაფარია წინ. ქორბუდამ მთისკენ მიიღერა კისერი, შევხედეთ ჩვენს სამშობლო ქედებს და გაგვიხარდა.

“ბუჰ, ბუჰ” - დაიგრიალა ამ დროს თოფებმა და ქორბუდა მოსხლეტილი ოთხივე ფეხით დაეცა ძირს. მხოლოდ ერთილა შემომხედა გამწარებულმა. “მშვიდობით, მშვიდობითო” - მეუბნებოდა მისი თვალები. შემდეგ აღარაფერი დამინახავს, თვალთ დამიბნელდა, მივხვდი, რომ ქორბუდას თავს საშინელი უბედურება დატრიალდა.

“ბუჰ, ბუჰ, ზუუ!” - თოფი თოფზე გრიალებდა და ტყვია ხან თავს გადმომივლიდა ზუზუნით, ხან ყურებში გამიწივლებდა. მივრბოდი და თვითონაც არ გამეგებოდა, საით; ვგრძნობდი კი, რომ ქორბუდა აღარ მომდევდა თან. ხოლო ქორისას ხმალა მესმოდა ყრუდ; აგერ ცოტალა დამრჩა მთის ქედამდე. აღარც თოფების ხმა ისმის. მივალწიე კიდევ ქედს. გონება დაბნეულმა, თვალეზარეულმა ავირბინე აღმართი და იქავე ხშირ ბარდებში დავეცი, მეტი აღარ შემეძლო, სული შემეგუბდა სირბილით, გული კინადამ ამომვარდა; ფერდს ფერდსა ვცემდი. რა მექნა? თავსაც რომ წამომდგომოდნენ, ველარსად წავიდოდი; დეე მეც მომკლან იმ ბოროტებმა მეთქი, - ვამბობდი გამწარებული გულში და თვალებიდან ცრემლები წვიმასავით წამომივიდა. ოჰ, რატომ თქვენი ტირილი არ გაგონდებათ მაშინ, ადამიანებო, როცა ჩვენ ასე გვატირებთ!

ქვითინი ველარ შევიმაგრე. უეჭველად მოკლეს ამხანაგი, ვფიქრობდი მარტოდ-მარტო ბუჩქნარებზედ თავმიდებული. მერე რადა, ვის რა დავუშავეთ?! რა უყავით ჩემი ქორბუდა, ჩემი საყვარელი მეგობარი?!

ვაიმე, ვაიმე, ჩემო ქორბუდავ! ვინ იცის, როგორ ჰგლეჯენ ძაღლები ახლა შენს მშვენიერ ტყავს! როგორ დაშვებულა ძირს შენი მშვენიერი რქები! გულმა აღარ მომითმინა, წამოვიჭერ ზეზე და ჭალისაკენ გავიხედე, სადაც ქორბუდა წაიქცა. მე უბედურს კიდევ რაღაც იმედი მქონდა. გულს არ უნდოდა დაეჯერებინა თვისი სიობლე. მაგრამ, ვაი ჩემს სიბედკრულეს! დავღუპულიყავ! ქორბუდას რამდენიმე მონადირე აჯდა ზედ, ძაღლები გარს შემოხვეოდნენ. ჯერ არ მომკვდარიყო, არ დაცლილიყო სისხლით და ფართხალობდა. “რა გიშველო, როგორ მოგეხმარო, ჩემო სიცოცხლე, რა შემიძლია მე, უმწეოს?” - ველაპარაკებოდი შორიდან ქორბუდას და გული მიდნებოდა. ტანში სიმწრის ჟრუანტელი მივლიდა. მონადირეები ზეზე წამოდგნენ, ქორბუდამ კი უკანასკნელად გადააგდო კისერი, დაანარცხა დედამიწაზედ რქები და აღარც კი განძრეულა. მოჰკლეს, მოკვდა...

ირემო მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა! მეუღლე მტერმა მომიკლა, დავეხეტები ცალადა!

შემომესმა ამ დროს ჭალის პირიდან სიმღერა. მხიარულობდნენ, იცინოდნენ. ქორბუდა კი... ეჰ!..

“ეგ სიმღერა იყოს შენი სამგლოვიარო და ჩემი დაობლების ზარი, ჩემო ქორბუდავ! მშვიდობით, ჩემო საყვარელო! არ დაგივიწყებ ვიდრე ასე მარტოდ-მარტო ვიხეტილებ მთაში!” გამოველაპარაკე შორიდან უკანასკნელად ქორბუდას და შევუდექ გზას დაობლებული. შორიდან კი ისევ მოისმოდა მხიარულება და სიმღერა: “ირემო მთასა მყვირალო”...

- მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო უბედურო ქორბუდავ!

ახლა, ყმაწვილებო, დავდივარ, დავხეტილობ მარტოდ- მარტო მთა-ბარად; ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა! დავდივარ დაობლებული და ყოველ წუთს თვალწინ მიდგას ჭალის პირას ტყვიით განგმირული ქორბუდა, ვხედავ იმის დახუჭულ ლამაზ თვალებს და თანაც მესმის ჩვენი მტრების მხიარული სიმღერა:

ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა? მეუღლე მტერმა

მომიკლა, დავეხეტები ცალადა!

დიახ, მომიკლეს, გამოასალმეს წუთისოფელს ჩემი საწყალი, უბედური ქორბუდა.

1911 წ.

### ორი ობოლი

(ამბავი)

ზამთარია... შუადღე გადასულა. სუსტი მზე ოდნავ ეკარება მთის თეთრ მწვერვალებს. ცივმა ნიავმა დაჰბერა, თოვლმაც შრიალით მისცა პასუხი, მაგრამ მალე გატრუნა სული და ქვებუდანად ჰგზავნიდა სიცვიის ნაპერწკლებს ჰაერში. ქუჩებზე ფეხოსანთ ნაბიჯს უმატეს, ეტლები გააჩქარეს. კომლი ბურჯულ-ბურჯულად ამოდიოდა ბუხრებიდან. სწორედ ამ დროს ორი მონძებში გახვეული არსება იდგა სამსართულიან სახლის აივნის ქვეშ. ეტყობოდათ რაღაც თათბირში იყვნენ.

- არა გოგო! - სთქვა ერთმა მათგანმა, - ამ სახლთან

ტყუილად გავჩერდით, აქ ნუ შევალთ.

- რატო? - მიუგო ცაცამ, - ამ სახლში, როგორც ეტყობა, მდიდრები უნდა სცხოვრობდნენ და...

- ეგ მართალია, - ჩამოართვა სიტყვა პირველმა ცაცას, მაგრამ გუშინ ხომ ჰნახე, სწორედ ამისთანა სახლი იყო, ბიჭებმა რომ გამოგვყარეს.

აბრანძულ-დაბრანძულებმა დაათვალიერეს სახლი, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებდა განიერს ქუჩას და რომლის მცხოვრებნიც რაღაცნაირ ზღაპრულ არსებად წარმოიდგინეს.

- მგონი თვითონ ეს სახლი იყო...

კვლავ არ დასცალდა ცაცას სიტყვის დათავება, რომ აივნიდან მოისმა მრისხანე ხმა.

- ეი, თქვე მაწანწალანო, კიდევ მოეთრიენით? დაიკარგეთ აქედან, თორემ

რაც გუშინ დაგაკლდათ, ახლა შეგისრულებთ!

აივანზე გადმომდგარიყო მოსამსახურე ბიჭი, ცოცხი ხელში ეჭირა და აივანსა ჰგვიდა. მეორემ, რომელიც შემდგარიყო ფანჯარაზე და შუშებს სწმენდავდა, ბანი მისცა თავისს ამხანაგს.

- ჯოხი მაგათ, თევდორე, ჯოხი! აპა, მაგათ შიშით კაცს ვერა გაუშვია-რა ეზოში. ეგენი მოიპარავდნენ გუშინ ტაშტს, თვარა სხვა ვინ იქნებოდა.

- და ჩვენ კი გვაზღვევინა “ხაზეინმა?” - სთქვა თევდორემ; მოიმარჯვა ხელში გრძელი ცოცხის ტარი და კიბეზე დაეშვა. უბედურებმა ერთის ფეხით გაასწრეს გადმოქნეულს ჯოხსა და მუხლამდის თოვლში გადაერივნენ. ბიჭიც აღარ გამოეკიდა და ლანძღვა- გინებით ავიდა ისევ აივანზე.

აქ ცოტა ხანს შევსწყვიტავთ ჩვენს მოთხრობას და მოკლედ გაუწყებთ ამ გოგო-ბიჭის წარსულსა.

ცაცა და ვანო და-ძმანი იყვნენ. პირველი იყო შვიდის წლისა, მეორე ორის წლით უფროსი იმაზე.მამა მათი ზალიკო და დედა მარიამი ს. ყორეთის მცხოვრებელნი იყვნენ.

გამრჯელმა ზალიკომ ყაირათიანის ცოლისა და უფროსი ვაჟის - ლექსოს შემწეობით, უკან წასული ოჯახი წინ წამოსწია. სცხოვრობდნენ ისე, როგორც უმამულო გლეხს შეეფერებოდა; რადგანაც, ზალიკო ჯერ ისევ გამოუცდელი იყო, როდესაც მამა მოუკვდა და ერთი დღის ვენახი მედუქნემ ვალში ჩამოართვა, დიდ ხანს იყო შევიწროებაში. “გული მიკვდებაო, - იტყოდა ხოლმე ზალიკო, - როდესაც მედუქნეს ცოლ-შვილს ვხედავ ჩვენ შინა-ვენახშია”.

- ედვას შენი ცოდვა, ვინც შენ ეგ ხელიდან გამოგაცალა. აბა სად გაიხარონ ჩემმა შვილებმა? კიწს ვერსად ასწყვეტავენ, რო უნდოდეთ კიწს!ტაბარუკი კაცი სოფელში გასაჩენი არ არის. აბა შენი ჭირიმე, ხვალე რომ გადავბრუნდეთ და დავიხოცნეთ, რა უნდა დარჩეთ ჩვენ შვილებსა? რით უნდა შეინახონ თავი? შენსავით სხვის კარზე უნდა გამოიზარდნენ წვითა და დაგვით და თავისი დღენი სხვის სამსახურში დალიონ! ან ვინ იცის,

ორი ძმა ერთად აღარა დგება ამ დროში, ღმერთმა კი დღე მისცეს ჩემს ლექსოსა და ვანოს, ხვალე რომ დაშორდნენ ერთმანეთს, ერთი ქოხის მეტი რა გააჩნიათ? ერთი რომ აქ დაფუძნდეს, მეორე საითლა წავიდეს, გეთაყვანე? არა, არა, უნდა წელებზე ფეხი დავიდგათ, ჯანი უნდა გავიგდებინოთ და ჩვენს შვილებს კი ერთი-ორი ადლი მამული შევძინოთ როგორც იყოს.

- “დავწვრილშვილდი - დავიწიე, დამეზარდნენ - ავიწივეო.” უპასუხებდა ამაზე ზალიკო იმედიანად. - ვენაცვალე ღმერთს, ლექსო მომესწრო, მალე ვანოც შესძლებს სახრის აღებას და სასახლესაც შევიძენთ და სავენახესაც.

თითქმის ყოველს საღამოს, როდესაც დამაშვრალი ზალიკო წამოწვებოდა დარაკრაკებულს ეზოში, ცოლსა და ქმარს ამისთანა მუსაიფი ჰქონდათ ხოლმე. მერე შეუდგებოდნენ ამის ფიქრს, როდის დავაქორწინებთ ლექსოსაო, როგორი ქალი ვითხოვოთ და სხვა ამისთანები. მაგრამ ნათქვამია: “კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო!” სწორედ ასე დაემართათ მომავლით აღფრთოვანებულთ ჩვენს ზალიკოსა და მარიამს.

ქ-ს მხარეს უბედურება ეწვია. ოთხს წელიწადს ზედიზედ მოსავალი არ მოვიდა. დაიმშა აგრეთვე ს. ყორეთიც. საწყალი ზალიკო სრულიად მოუმზადებელი დახვდა ამგვარ შემთხვევას. დღიური მუშა იყო და, ერთს დღეს თუ ხელს არ გაიქნევდა, მისი ცოლ-შვილი მშიერი უნდა დარჩენილიყო. ახლა რაღა ქნას? სამკალი არავისა აქვს და სათოხიო. პურის ჭამისათვისაც კი აღარავინ იშველიებდა! ყველას თავისი თავი გასჭირებოდა. მაგრამ ეს არ აკმარა ბედმა ზალიკოს. ლექსო, ეს “ოჯახის დედაბოძი” ლექსო, სალდათად წაიყვანეს. მერე რა დროს! მაშინ, როდესაც “დანა ყელთან ჰქონდა მიბჯენილი!”

- ვაი, რა უდრო-უდროდ ჩამომაცალეს მარჯვენა!

ვამბობდი, ერთ-ერთი სახლში დავტრიალდებით, მეორე ან ქალაქისკენ წავა, ან ლეკში, ეგებ ერთი-ორი გროში ვიშოვოთ-მეთქი და დახე, დახე რა მოგვივიდა! ვის მივატანო? რა წყალში ჩავარდე? წავიდე საითმე სამუშაოდ, აქ ცოლ-შვილი ვის ანაბარას დავტოვო, მერე მაშინ, როცა

მუჭაზე დაყრა არა აქვთ-რა! ან ხელი როგორ მოვაწვდინო იქიდან, ან ხმა? კაცს ჯანი მთელი ჰქონდეს, მკლავში - ძალა, მუხლში - ღონე და შინ ცოლ-შვილი კი მშიერი ეხოცებოდეს! გაგონილა?! არა, არა! ყველაფერი მინახავს, ყველაფერი. ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვაფრივ ყველა ტანჯვა გამომივლია და ესეთი კი არას დროს. ოჰ, ღმერთო! რათ აილე ჩვენზე ხელი? რათ გაგვიწყვიტე ვარცლში სეფისკვერი?

ასე მოსთქვამდა გულდაკოდილი, გულხელდაკრეფილი ზალიკო და მიაპყრობდა ცრემლიან თვალებს სახლის პირდაპირ, პატარა მთის წვერზე აშენებულ ეკლესიას. შემოესმოდა ზალიკოს ამ დროს ტირილი პატარებისა, რომელნიც შეკლნაოდნენ დედას და სთხოვდნენ პურს. თითქოს ლახვარი დაუტარეს ზალიკოს გულ-ღვიძლსაო, ისე დაეპრანჭებოდა ხოლმე სახე, დააშტერებდა თვალებს პატარებსა, მაგრამ ისევ მალე მოარიდებდა პირსა და მოჰყვებოდა ჩუმად

ქვითინსა. რასაკვირველია, არც მარიამი იყო ამ დროს მოსვენებაში. დევივით დედაკაცი, რომელზედაც მეზობლები იტყოდნენ ხოლმე: “კაი ვაჟკაცს შეეჭიდებაო” - ჩამოლხვა, თვალები ჩაუცვივდა და ოდესღაც ღაჟღაჟა ლოყებს სიყვითლე გადაეფარა. დარდისაგან გონება დაუჩლუნგდა და მკვირცხლი, ყველაფერში მოაზრებული მარიამი, ახლა ძლივსღა დალახლახებდა დანით ხელში და ბოლჩით ილღიაში სოფლის ორღობეებსა და ბაღჩებში ჭინჭარ-მხალ- ხაჭიჭორას საკრეფად და ამგვარად ორი-სამი დღის მშვირები უმარილო წყალში მოთუთქულ ბალახით იბრუნებდნენ სულს. თანდათან ამისთანა კვების საღსარიც ილეოდა და დიდით პატარამდე მოჩვენებას დაემსგავსნენ. საწყალმა ზალიკომ მხოლოდ ეხლა გამოიმეტა თავის ერთადერთი ოთხფეხი პატარა ხბო, ორ მანათად მიჰყიდა მედუქნე ივანეს. შვილივით გაზარდა ზალიკომ ეს ხბო და მომავალში დიდი იმედი ჰქონდა მისი, ისევე შესტრფოდა თითქმის, როგორც თავის ღვიძლ შვილს ვანოს. თვით ცაცასა და ვანოს ამ ხბოს გაყიდვით მოსწყდათ გულიდან უსაყვარლესი ამხანაგი და ისეც ნაღვლიანი მათი

გული მწარედ მოიწამლა. ოჰ, რა ხუჭუჭი ბალანი ჰქონდა! რა ალერსიანი თვალები, რა საყელურით იყო მორთული მისი კისერი! როგორ გვილოკავდა ხელებს სიყვარულის ნიშნადაო!

მედუქნე ივანემ წაიყვანა მათი “კუდვარდა”! მაგრამ ამ ორის მანათით რა მანძილი უნდა გაევლოთ ზალიკოს ცოლ-შვილს. დუქნის კარებზევე უკანვე მისცა ივანეს ეს ფული და სამაგიეროდ ნახევარი კოდი პური გამოართვა. ეს დღესა ჰყოფნოდა, ხვალა, ხვალზევითა, ერთი კვირა, მერე? მერე ისევ ან შიმშილით დავიხოცებით ან მხალ- ხაჭიჭორ-ლოლოცოვა გადაგვიტანსო. დიდხანს ებრძოდა ზალიკო ამ აზრს: წავიდე თუ არა ქალაქისაკენაო. და ახლა კი გადასწყვიტა, მაგრამ, მაინც გული სხვას ეუბნებოდა: “სად მიხვალ, რომ მიხვალ? - ეუბნებოდა ერთი გული, - შენს სოფელში სიკვდილი გერჩივნოსო”. ტკბილი ყოფილა სული, ტკბილი! ბოლოს მაინც მიატოვა ზალიკომ თავისი კოპწია ქოხი, საყვარელი სოფელი და მეზობლის ქირაზე მიმავალ ურმით ქალაქში ჩამოვიდა ცოლ-შვილით; მაგრამ სწორედ აქა ჰპოვა ზალიკომ ის, რასაც სოფლიდან გამოექცა. რკინიგზაზე, საცა ის მუშაობდა, ორთქლის მატარებელმა იმსხვერპლა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისი, რომ დღეს ვანო და ცაცა სამათხოვროდ დადიოდნენ ქუჩა- ქუჩა; ესევე იყო მიზეზი, რომ ამდენ დარდ-ბოროტისაგან ისეც ჯანგატეხილი მარიამი ლოგინად ჩავარდა.

- რა უნდათ, ვანო, იმ ბიჭებს ჩვენგან? - ჰკითხა ვანოს ცაცამ, როდესაც ისინი შესდგნენ და დაინახეს, რომ ბიჭი აღარ მისდევდა.

- ისა, ცაცა, რომ ნუ მათხოვრობთო.

- მაშ რა ვსჭამოთ, რომ არ ვითხოვოთ? არა, მაგისტვის არა. განა დედამ მოგვატყუა, რომ გვითხრა: წადით, შვილებო, ითხოვეთ, ღვთისნიერი კაცი არსად არ დაილევა, ლუკმა პურს მოგაწვდიანო? - ჰკითხა კვლავ ცაცამ.

- რა ვიცი, - უპასუხა ვანომ, - ჩვენ კი ვერაფერი ვიშოვეთ- რა და...

- იქნება მაგათ ასე ჰგონიათ, რომ ტყუილად ვთხოულობთ?

- როგორ თუ ტყუილად? - დაეკითხა თავის მხრივ ვანო.

- ისე რომ, გახსოვს მე, შენა და ნენე რომ“მათხოვრობიას” ვთამაშობდით ხოლმე?

- მაშინ, ცაცა, ვხუმრობდით, ეხლა კი მართლა ვთხოულობთ, მაშინ რად გვინდოდა, რომ გვეთხოვნა: მამა ცოცხალი გვეყვანდა და დედაც ავად არ იყო.

ორივენი ჩააფიქრა ამ მოგონებამ. მერე შეჰხედეს ერთმანეთს და ცრემლებით აემღვრათ თვალები.

- საწყალი დედა! - წარმოსთქვა ცაცამ ტირილმორეულის ხმით: - წუხელის გამომეღვიძა და ისეთი კვნესოდა, ისეთი, რომ ჰა! მერე რაღაც ლაპარაკი დაიწყო. მამას ელაპარაკებოდა; ასე ეგონა, მამა ისევ ცოცხალიაო, მე შემეშინდა და საბანში გავეხვიე.

- სიცხეში იქნებოდა, ცაცა, შარშან შენც რომ ავად იყავ, ძილში რაღაცეებს ლაპარაკობდი. გუშინ და დღეს არა უჭამია-რა, წამო ჩქარა, ვიშოვოთ რამე და წავუღოთ! - ცრემლების წმენდითა სთქვა ვანომ.

- არა, ვანო, დილას ვკითხე: დედი, ხომ არა გშიან-მეთქი - და არაო, წყალი კი ბევრი, ბევრი დალია, - უპასუხა ცაცამ.

- როგორ არ ეშივება, წამო, წავიდეთ, როდემდის

უნდა ვიდგეთ აქა!

- აბა, საით წავიდეთ? - დაეკითხა ცაცა.

- აგერ იმ ქუჩას დავყვით, - სთქვა ვანომ და გაიწოდა ხელი ერთს ვიწრო ქუჩისაკენ. ორივენი გავიდნენ იმ ქუჩაზე და გაჩერდნენ ერთი სახლის წინა. ჰხედავენ: ცაცას ტოლა ქალი შემჯდარა ფანჯარაზე, მარჯვნივ მოუსვამს ერთი მუჭა ძაღლი, პატარა ფინია, მარცხნივ - ბოხვერა კატა, რომელნიც რძეში ჩამტვრეულს პურს შეექცევიან. ვანომ ერთი ჩაახველა, პატარა ქალბატონმა გადმოიხედა ძირს და დაუწყო ამაყად ყურება, თითქოს ეუბნება: “მე გიშერაცა მყავს და ციცუნიაცა, ჰხედავთ ვაძლობ რძითაო!” მერე მიუტია გიშერა, რათა ეჩვენებინა მათთვის მისი უნარი, გიშერამ უფრო დაიწკმუტუნა, ვიდრე დაჰყეფა.



- წამო აქეთ, წამო, ძალღმა არ დაგვგლიჯოს! - გამოსწია ხელით შეშინებულმა ცაცამ ვანოსა.

- ნუ გეშინიან, ცაცა, ფანჯარას ხომ ვერ გამოამტკრევს? - მიუგო ვანომ და შემდეგ დარცხვენით მიჰმართა პატარა ქალბატონს: - გვაჩუქეთ რამე, ობლები ვართ!

- დედა შინ ავათა გვყავს! - დაუმატა ცაცამ, მაგრამ პატარა ქალბატონს არც კი გაუგონია მათი სიტყვები. ის იცინოდა, უხაროდა გიშერას ყეფა და უფრო ასისიანებდა. ამ დროს მეორე ოთახიდან გამოვიდა შუახნის ქალი, ძილისაგან თვალეშემუპებული. ეტყობოდა, მოსვენება დაეფრთხოთ მისთვის, ქალმა სამდურავით მიჰმართა პატარა ქალბატონს, რომელიც ტაშის ცემით ახალისებდა გიშერას.

- არა გცხვენიან, ნინიჩკა, რა ხმაურობაა? “მამაშა” და “პაპაშა” გამოაღვიძე!

- მერე რა, რა ჩემი ბრალია? - იცრუვა ნინიჩკამ. - აგერ იმათ ააყეფეს გიშერა!

- აბა, ვინა? - ჰკითხა ქალმა.

- აგერ, გადიხედე ფანჯარას ქვეშ ვინა დგანან? - უპასუხა ნინიჩკამ და თანაც ვანოსა და ცაცაზე მიუთითა. ქალმა გადიხედა და მართლაც ჩვენი მათხოვრები დაინახა, რომელნიც ელოდებოდნენ: ან ახლა გადმოჰყოფენ მოწყალე ხელს, ან ახლა, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, მოწყალე ხელის მაგიერ გადმოეყუდა თმააბურბგვნილი თავი განრისხებული თვალებით.

- ჰაი თქვე მხეცებო, მხეცის შვილებო, როგორ გაბედეთ ამისთანა თავხედობა? თქვე ქუჩა-ქუჩა მათრევლებო! დაიკარგენით აქედან, თორემ დავუძახებ ბიჭებს და სულ კისერში ცემით გავარეკვინებთ!

ვანომ და ცაცამ განაბეს სული და ცივად მოშორდნენ იმ სახლს. მიდიან თავჩაღუნულები, გულდაწყვეტილები. უცებ უკანიდან მოესმათ სიცილ-ხარხარი. მიიხედეს და დაინახეს ორი ყმაწვილი და ორი ქალი: მათ ცაცასა და ვანოს ახლო გაუარეს, მაგრამ ბედნიერებას დაებრმავებინა მათი თვალები და ცაცასა და ვანოს სამოწყალოდ გაწვდილი ხელი ვერ

შეჰნიშნეს. იქავ რამდენსამე ნაბიჯის სიახლოვეს ეკლესია იყო, და ჩვენი პატარები მივიდნენ და მიეყუდნენ მის გალავანს უიმედოდ. სხვა დროს უშოვნიათ ცოტა რამ მაინცა და დღეს კი სრულებით ბედი არა სწყალობთ. იდგნენ პირმოკუმულები, ხმაგაკმედილები. ორივენი ფიქრმა წაიღო, ვინ იცის, რა ბალღამი სწიწკნიდა მათ ნორჩ გულს! მალი-მალ დაეპრანჭებოდათ სახე და ისეთსა ამოიოხრებდნენ, თითქო ქვა ედვათ გულში და მის ამოგდებას ცდილობენო. უცებ ჰაერში გაიზრიალა მედგარმა ხმამ. ვანო და ცაცა შეკრთნენ. ეს საღამოს ლოცვის ნიშანი იყო. ზარის რეკა იწვევდა ქრისტეანთ ტაძარში სალოცავად. აგერ ერთი ქურქოსანი გადმოხტა კიდეც ეტლიდან, მიბრუნდა აღმოსავლეთისაკენ და რამდენჯერმე დაიწერა პირჯვარი, მერე გაემართა ტაძრისკენ. ვანომ გადადგა მისკენ რამდენიმე ნაბიჯი და ხელი გაუწოდა მოწყალებისათვის. ქურქოსანმა შუბლი შეიკრა, ჩასისხლიანებული თვალები გადმოაბრიალა და ჯოხი, რომელსაც აქნობამდის მიათრევდა, ახლა ხელში მოიმარჯვა. “წყეულები გზასაც აღარ აძლევენ მლოცველებს!” წაიბუტბუტა მან და შევიდა ტაძარში. ვანო კვლავ აეყუდა კედელს ცაცას გვერდით და ორივენი კარგახანს იყვნენ გაჩუმებულნი. სიცივემ აიტანა მალე ორივენი. მალი-მალ იორთქლებდნენ ხელებზე და ნახევრად ტიტველა ფეხებს გაყინულ თოვლზე აფხაკუნებდნენ. ხმის ამოღება ვერც ერთს ვერ გაებედნა, თითქოს თვით იყვნენ მიზეზნი თვისის უბედურებისაო. სუსხიანმა ნიავმა მათი პირისახე ჯერ ააწითლა, მერე გაალურჯა. მათს ლოყებზე აქნობამდის შეუმჩნეველი ბუსუსები ახლა ყალყზე შედგა. კბილებმა მაგმაგი დაუწყეს. თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდათ სიცივის სიმწარითა, აგერ ერთი ცრემლი ცაცას თვალებიდან თოვლს დაეცა, მას მოჰყვა მეორე, მესამე. ახლა კი ვედარ შეიკავა თავი ცაცამ და ქვითინი დაიწყო. ვანოს, რომლის თვალებიდანაც არა ნაკლებ გადმოდიოდა ცრემლი, უნდოდა შეეყენებინა უკვე ყელში მობჯენილი გმინვა, მაგრამ ვედარ დასძლია და ტირილითვე თანაუგრძნო დას. სტირიან ორივენი. ცრემლებიც თითქო ეშურებიან ჩქარა შეუერთდნენ ცივ ჰაერს და მოგორავენ ლოყებზე შეუწყვეტილად.

ვანომ ერთს წუთს, როგორც იყო, შეიმაგრა თავი, წაავლო ცაცას მკლავებზე ხელები და მუდარა დაუწყო:

- სუ, ცაცა, ნუ სტირი, შენი ჭირიმე, გოგო, დაჩუმდი...

ცაცას უფრო გული ამოუჯდა. ვანოს უნდოდა რითიმე ენუგეშებინა ცაცა, მაგრამ, რო ვერა მოიგონა-რა, თვითონაც ისევ ტირილი დაიწყო. მუშებს სამუშაო აეშვათ და ფეხაკრეფით მოდიოდნენ. ვანოსა და ცაცას ახლოს გამოიარეს. ერთი მათგანი, რომელსაც, როგორც ემჩნეოდა სიარულზე, ფეხი უნდა სტკიებოდა, ხანხალით მიეყუდა მათს ახლოს და, რა გაიგონა ბავშვების ტირილი, დაეკითხა:

- რათა სტირით, პატარებო?

პასუხი არ იყო.

- გცემათ ვინმემ? - კვლავ ჰკითხა მუშამ. მისი ალერსიანი კილო იამა ცაცასა და ვანოს. იმისთანა თვალებით შეჰხედეს მუშას, რომ აშკარად ეუბნებოდნენ: “გვკითხე, კიდევ გვკითხე რამე, გვიამა შენი ლაპარაკიო”. იმანაც თითქოს მიჰხვდაო, ხელი გადაუსვა ვანოს თავზე და კვლავ ჰკითხა ტირილის მიზეზი. ვანომ ახლა კი უამბო თავიანთი უბედურება.

- ღმერთო, ღმერთო მოწყალეო! - ამოიოხრა მუშამ და თავი ჩაჰკიდა. ლოცვა უკვე გათავებულიყო, ხალხი გარეთ გამოვიდა. მუშამ ხანხალით გასწია მათკენ, მოიხადა ქუდი და თან მობუზულ ბავშვებზე ანიშნებდა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. “ოჰ, რამ გაუქვავა ამ ხალხს გული!” წარმოსთქვა კვნესით მუშამ და კვლავ აეყუდა ვანოს გვერდით. ცოტახანს შემდეგ ჩაიყო ჯიბეში ხელი, რაღაც ძონძი ამოიღო და ჩხრეკვა დაუწყო; მერე გაიქნია თავი და უიმედოდ გადაჰხედა ბავშვებს.

- ამაშიაც არა გდია-რა, ამ ტიალში! - მწარედ წაიდუდუნა მან და ჩაჰყუნა დახუხულის ხელებით ძონძი ისევ ჯიბეში. ახლა ისე ეს ბავშვები არ იტანჯებოდნენ, როგორც ეს მუშა, რომელსაც უნდოდა ენუგეშებინა ისინი, მაგრამ ქისამ უმტყუნა.

- წადით, წადით შინ, დედასთან! - უთხრა გულდაწყვეტილმა მუშამ და ხანხალით გაუდგა თავის გზას.

ცაცა და ვანო ისევ მარტონი დარჩნენ. ტირილმა სევდა შეუმსუბუქა; შიმშილი გადაუვარდათ, მაგრამ დედასთან მაინც ხელცარიელთ არ უნდოდათ მისვლა.

- კიდევ ვიაროთ, ცაცა, ეგებ ვიშოვოთ რამე! - უთხრა ვანომ.

- წავიდეთ! - უპასუხა ცაცამ და ჩვენი მგზავრები მეორე ქუჩას მიეფარნენ. მებინდდა... ქუჩაში ფარნები აანთეს. ზოგმა დუქანს ნახევრად დარაბები აუყარა, ზოგი კი ისევ გაჰკიოდა და აქეზებდა თვისის საქონლის ღირსებას. ერთი დუქნიდან თარის წკრიალი გამოდიოდა, იქ ტვინის ნიშადურს უკვე ციხე აეღო, რადგანაც ერთმანეთში ურევდნენ: “შენ რა გინდა, მე რომ ვლოთობ, ძმობილო”... “სიცივე ვერას დაგვაკლებს, თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს...” აგერ სამთ ხელგადახვეულთ შეაჯახუნეს ტრაქტორის კარები, საიდანაც ხშირი ორთქლი გამოვარდა და ჰაერში გაიბნა ზღაზვნითა. აგერ კიდევ ორნი გაჩერებულან შუა ქუჩაში და, დილით ერთმანეთის მტერნი, ძმად იფიცებიან ახლა, თუმცა ენა აღარ ემორჩილებათ და ფეხებსაც ძლივსლა იმორჩილებენ. მეორე უფრო განათებულს ქუჩაზე, ერთს სახლის კარებთან, დიდი ფაცაფუცია. მარდად შერბიან და გამორბიან მოსამსახურენი. ქალბატონი და ბატონი სადღაც ეშაადებიან. დიდი ხანია, რაც ეტლი უცდით. ამ დროს ორი პატარა არსება გამოვიდა ქუჩის ცერიდან და ეტლისკენ მიიმართნენ. ეს ვანო იყო თავისი დით. ვანომ ქუდი მოიხადა და მიჰმართა მეეტლეს.

- გვაჩუქე რამე, აგრემც ღმერთი შეგეწევა!

მეეტლემ გვერდზე გადმოიხედა და, რა დაინახა სამოწყალოდ გამოწვდილი ხელი, დაეკითხა.

- რაღა დროს საშოვარზე სიარულია ამ შუადამისას?

- რა ვქნათ, რომ შუადღეს აქეთ დავდივართ და ვერა ვიშოვეთ-რა!

- რატომ დილიდანვე არ გამოსულხართ? - კვლავ დაეკითხა ვანოს

მეეტლე.

- დედა შინ ავად არის და თავი ვერ დავანებეთ, - უპასუხა ვანომ.

- მამა არა გყავთ? - ჰკითხა კიდევ მეეტლემ და თან ხელი წაიღო ჯიბისაკენ.

- არა, - უპასუხა ნაღვლიანის ხმით ცაცამ.

- ახლო მოდი, - უთხრა მეეტლემ ვანოს და ჩაუგდო გამოწვდილ ხელში შაური, თანაც დაატანა: - აქ მოიცადეთ, საცაა ქალბატონი გამოვა და გაჩუქებთ რასმე.

ვანო და ცაცამ არ იცოდნენ, როგორ გადაეხადნათ ამ კეთილის კაცისათვის მადლობა. მაგრამ მათი თვალები აშკარად ამბობდა იმას, რაც მათს გაუწვრთნელს ენას ვერ გამოეთქვა. საწყლები ვერ იშვნივდნენ ახლად დაწყებულს ხელობას და მათხოვრის ლაპარაკი ჯერ არ შეესწავლათ. დიდხანს არ მოუხდათ აქ მოცდა: კარები გაიღო და ქალბატონი გამობრძანდა, რომელსაც უკან ბატონი მოსდევდა.

ქალბატონმა კაბის სწორებაში წინ დაიხედა და თვალი მოჰკრა პაწია ძაღლს.

- უი, დამიდგა თვალები, - ისე შეჰკვივლა, გეგონებოდათ, დიდი რამ უბედურება მოხდაო, - აგერ, აგერ შენი გამგონი ბიჭები! რამდენჯერ გთხოვე, ესენი დაითხოვე, სხვები დაიჭირე-მეთქი და არა, არ იქნა, შენ ყურიც არ შეიბერტყე? ერთი ბეწო ხათრი არა გაქვს ჩემი, ეჰ, უბედური ვარ, უბედური!..

- საკვირველია, ღმერთმანი, აბა რა გატირებს, ქალო! მაშ ვიღასი ხათრი მაქვს თუ არ შენი?

ქალბატონი თავისას იმეორებდა: - უბედური ვარ

უბედურიო! განრისხებული ბატონი მოსამსახურეებს მიუბრუნდა:

- თქვენ ჭამის მეტი არა ხართ-რა! არა, ეს ერთი პაწია ძაღლი ვერ შეგინახამთ? ნაბრძანები არა გქონდათ, გარეთ ნუ გამოუშვებთო! იცოდეთ, ამ თვის ჯამაგირს შუაზე გაგიყოფთ! - და განკარგულების

შემდეგ, რომ ძალი შინ შეეყვანათ, გეეთბოთ, ეჭმიათ, მოესვენებინათ, გაუყარა თავის სიცოცხლეს მკლავში ხელი და ეტლს მიუახლოვდნენ.

- ესენი რას გაჩერებულან აქ? - იკითხა ქალბატონმა, როდესაც ვანო და ცაცა შენიშნა ეტლის გვერდით.

- მოწყალებას თხოულობენ, - მიუგო მეეტლემ.

- დაიკარგენით აქედან, მოწყალებას კი ნუ თხოულობენ, შრომით იშოვნონ ლუკმა, მაგრამ რომ ზარმაცნი და მატანტალანი არიან! უშრომით არავის არ მოსდის, ჩვენ თუ გვაქვს, კიდევ ვშრომობთ! - და აქ შეხედა თავის ვაჟბატონს, რომელმაც სახის მეტყველებით აგრძნობინა, შენი ნათქვამი ხალასი ჭემმარიტებააო.

ეტლი დაიძრა თეატრისკენ.

- დრამა “ორი ობოლი”, ვნახოთ რა იქნება, სათაური კი მაგდენი არაფერია! ჰა, შენ რას იტყვი, ჩემო იულია? - ისეთის კილოთი დაეკითხა ვაჟბატონი თავის იულიას, თითქოს ემუდარება: “შენი ჭირიმე, აქ მაინც მელაპარაკე, თუ თეატრში ხმას არ გამცემო”, მაგრამ მის იულიას არც კი გაუგონია მისი ლაპარაკი. ის უკვე თეატრში იყო, ანტრაქტზე, ფიქრით, და იმ ყმაწვილს, რომელზედაც გული შეჰვარდნოდა, ტკბილად ემუსაიფებოდა. მართლაც ამ დროს რომ მისთვის შეგეხედნათ ახლოდან, შეატყობდით, უკვე “როლში იყო შესული”, ლოყები ასწითლებოდა, თვალები ხან მაცდურად ეხუჭებოდა, ხან აღზნებული ტრფობის ნაპერწკლებს ისვროდა, ტუჩები უთრთოლავდა. დღესაც, როგორც ყოველთვის, ეს ქალბატონი დიდხანს იდგა სარკის წინა და ვარჯიშობდა, როგორ დავიჭირო თავი, როგორ მოვიხმარო თვალები, რომ მიჯნურს გულს ისარი გავუწონო ტრფობისაო. ახლა უყურეთ, როგორ თავბრუ დაჰხვიოს იმ ყმაწვილს, რომელსაც უეჭველად “პრედლოჟენიეს” გაუკეთებდა, ქმრიანი რომ არ ყოფილიყო.

ვანომ ზიზღით თვალი გააყოლა ეტლს და მერე ცაცას მიუბრუნდა.

- წამო, ცაცა, ამ შაურისა პური ვიყიდოთ და შინ წავიდეთ, ახლა თხოვნის დროც აღარ არის, დაღამდა.

- არა, მაშ... ისეთი მეშინიან, რომ ჰა? გახსოვს, ცოფიანმა ძაღლმა თინა რომ დაგლიჯა? - სთქვა ცაცამ და აქეთ-იქით მიიხედა შეშინებულმა.

- ცოფიან ძაღლს რა უნდა აქ, ქალაქია, განა სოფელია-რა?

ასე ლაპარაკით მივიდნენ პურის მცხოვრებელთან, იყიდეს შაურის პური და გაეშურნენ შინისკენ. მიისწრაფიან ხმაამოუღებელივ და მხოლოდ იმასღა ფიქრობენ: როგორ გავახარებთ დედას, პურს რომ მივუტანთო. მაგრამ უცებ შესდგნენ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს:

- გზა კი არ აგვერიოს-და...

- მართლა ეს ქუჩა სრულებით არ მენიშნება, აბა ჩვენი სახლი საით უნდა იყოს? - დაეკითხა ცაცა ვანოს.

- აბა, რა ვიცი, აგერ ხიდი მგონი იმ მხარეს არის და ჩვენ ხომ ხიდზე უნდა გავიაროთ?

- არა, ვანო, იქით კი არა, აი აქეთ უნდა იყოს ხიდი, - მიუგო ცაცამ და გაიწოდა ხელი, - მაგრამ რომელ გზით გავალთ იმ მხარეს? ეს წყეული ქუჩები სულ ერთმანეთს ჰგვანან!

- ვკითხოთ ვისმე. - სთქვა ვანომ.

- ვკითხოთ, მაგრამ რუსული რომ არ ვიცით! - უპასუხა სასოწარკვეთილებით ცაცამ.

- ჩოხიანი გამოივლის ვინმე და იმასა ვკითხოთ.

- ჰო, ჩოხიანი ქართველი იქნება!

მათს ბედზედ მართლაც ვიღაც ჩოხიანმა გამოიარა.

- ხიდი, არ იცი, საით არი? - დაეკითხა ვანო.

- რომელი ხიდი?

- აი მოაჯირი არ აქვს, ის ხიდი.

- არ ვიცი ძამია, აქ სულ მოაჯირიანი ხიდებია. რად გინდათ ხიდი?

- სახლისაკენ გზა ვეღარ გაგვიგნია და, თუ ხიდი ვიპოვეთ, მერე

მივაგნებთ, - მიუგო ვანომ.

- რომელი ხიდი გენდომებათ თქვენ: კუკიისა, ვერისა, ავლაბრისა?

- არ ვიცი სახელი, - კვლავ მიუგო ვანომ ჩოხიანს, რომელმაც არხეინად განაგრძო თავისი გზა.

ექვსი თვე იყო, რაც ვანო და ცაცა ქალაქში სცხოვრობდნენ და მხოლოდ ერთი ქუჩა იცოდნენ, ისიც იმიტომ რომ ამ ქუჩაზე დადიოდნენ მამასთან იქ, საცა მუშაობდა სიცოცხლეში. თვითონ ვერ გადიოდნენ ქალაქში, რადგანაც დედა აფრთხილებდა, ეტლმა არ გაგჭყლიტოთო

და მას კიდევ სადა ჰქონდა იმდენი მოცლა, რომ ისინი ეტარებინა. იმიტომ მოხდა, რომ დღეს ასე უცებ აერივათ გზა.

- მაშ, რა ვქნათ, ვანო? - დაეკითხა უიმედო და გულდაწყვეტილი ცაცა.

- ვიაროთ, როგორმე მივაგნებთ ხიდს და მერე ხომ მალე ვიპოვით სახლსაც.

- კარგი, - მიუგო ცაცამ, - ჩქარა კი ვიაროთ, თორემ დედა ძაან იწუხებს.

გაუდგნენ გზას. ერთის ქუჩიდან მეორეში გადადიან. მეორიდან მესამეში, ხან ერთსა და იმავე ქუჩაზე რამდენჯერმე უხდებათ გავლა, მაგრამ ვერ ამჩნევენ. ერთის სიტყვით, დაებნათ გზა და მაინც მიდიან, მიისწრაფიან დაუსვენებლივ.

შუალამე გადასული იყო. ქუჩებზე ხმაურობა აღარ ისმოდა, მხოლოდ ხანდისხან ასასი თუ დაახველებდა სადმე მაღაზიის წინ მიწოლილი. თოვლი ნელ-ნელა ჰბარდნიდა არემარეს. ამ დროს ორი პატარა არსება გამოჩნდა ელექტრონით განათებულ ქუჩაზე. შესდგნენ, რაღაც ითათბირეს, მერე მიიმართნენ იქავ მაღაზიისაკენ

და ჩაიჩოქეს კედლის ძირას საფარ ქვეშ.

- ასე ვიყოთ, - წარმოსთქვა ერთმა მათგანმა. - ცოტა შევისვენოთ და მერე წავიდეთ ისევ.

- ჰო, ჰო! ამაღამ თუ დედასთან არ მივედით, არ იქნება!

მიუგო მეორემ აკანკალებულის ხმით.



რასაკვირველია, მიხვდებოდით, ვინ იყვნენ ეს მოსაუბრენი. ცაცა და ვანო დიდხანს ისხდნენ გაჩუმებულნი. დადლილებს ძილი ერეოდათ. ძილს უმაგრდებოდნენ. მაგრამ, თავისდა უნებურად, მძიმე- მძიმედ იშლებოდნენ ცივს ქვაზე. ბოლოს მოიკრუნჩხეს ტანი, გადაჰხვიეს ერთმანეთს მკლავები და წუთს შემდეგ ხვრინვა ამოუშვეს, სძინავთ... მაგრამ ვაი ამისთანა ძილს: ხან ერთი შეხტება და წამოიძახებს “ვაი, ვიშ”, ხან მეორე. როგორც იყო, დამშვიდდნენ და საზარელი სიზმრების მაგიერ ახლა სასიამოვნო ეჭარებოდათ; ჰხედავენ, ვითომ სოფელში არიან. საღამოა. თავიანთი ქობ წინ “ცხენაობას” თამაშობენ. გარბიან და გამორბიან. ხან ერთის ცხენი გაასწრობს, ხან მეორისა; უხარიანთ, იცინიან, იცინიან! აგერ მათი დედა, რომელმაც შეჭამადით კოჭობი შემოსდგა ცეცხლზე, მოდგა კარებზე და ეუბნება: “გეყოფათ, შვილო, თამაშობა, ცოტახანს ჯობები დაჰყარეთ და “ცივცივადან” წყალი გადმოარბენინეთ, მამათქვენი მოვა დადლილი და ცივი წყალი ეამება”, ისინი შეცვივდნენ სახლში ჭურჭლებისათვის.

- ეს კოკურა მე უნდა წავიღო! - შეეცილა ცაცა ვანოს.

- არა, ცაცა, შენ ვერ მოერევი, გასტეხამ. მაგას მე ავიკიდებ!

- დიად, დიად, ვერ დავძრამ! შენ კი დასძრამ და მე კი ვერა? -- თავმომწონედ უპასუხა ცაცამ. როგორც იყო მოშველდნენ. მიდიან წყალზე; “ბროლიაც” თან დაედევნათ. ბოსტნის გვერდზე ჩაიარეს. აქ დედამ ერთი კვალი დაუთმო. ბევრი რამ დასთესეს ვანომა და ცაცამ ამ კვალში, აგერ იმათ მზესუჭვრეტას როგორ ამოუყვია თავი; პირდაპირ ამათ უყურებს! აგერ აკაკის ხესთანაც მივიდნენ.

- ცაცა, - უთხრა ვანომ: - შარშან ხომ აგერ იქითა ტოტზე გვება საქანელა, წელს აქეთ ჩამოვაბათ. ეს ტოტი სჯობია.

- არა, ვანო, - მიუგო ისეთის კილოთი ცაცამ, თითქო დიდი მცოდნეაო, - ისევ ისა სჯობია!

აი, ორლობეშიაც ჩავიდნენ. აქ ცაცა მიუბრუნდა ვანოს:

- ვანო, გახსოვს, დედამ რომ “ქადა-ქადა”<sup>1</sup> გაგვაქცევინა?

- როგორ არ მახსოვს, - მიუგო ვანომ. - მე აიმ კუნლის ძირში დავაწყე.  
- მე კიდევ აქ, სწორედ აქ იყო, ი ასკილის ტოტი, რომელზედაც ავასხი ყველი, ერბო, ქადა. - სთქვა ცაცამ. მიდიან ასე ლაპარაკით. ყოველ საგნის დანახვაზე აგონდებათ რამ შემთხვევა. ყოველს ხესთან, ქვასთან, კედლის ნანგრევთან უეჭველად რამ ერთობა აქვთ ორთავეს. აი წყალზედაც მივიდნენ. ეცილებიან ერთმანეთს, არა მე უნდა ავავსო წინ, არა მეო. აავსეს ორთავ და ჰერი შინისკენ, ვინ წინა და ვინ უკანა! “ნელათ, შვილო, ნელათ, ჭურჭელი არ დაამტვრიოთ”, უძახით დედა, რომელსაც ხელში ცოცხი უჭირავს და ეზოს აკრიალებს. მიცვივდნენ ქასქასით ეზოში, მამა მოსულიყო, გული გადაეღელნა და შუბლზე ოფლს იწმენდავდა. ორთავ მიურბენინეს მამას წყალი; ორთავეს უნდათ თავის მიტანილი წყალი დააღვეინონ. მამაც არცერთს არ იმდურებს, ორივეს ჭურჭლიდან სვამს. მთვარეც ამოვიდა. დედამ ვახშამი გამოიტანა. მოუსხდნენ ხონჩას. მოიდგეს ჯამები და გულიანად შეექცევიან. ვანო თავის “ბროლიას” არ ივიწყებს, ცაცა თავის ღრუტუნა “მაშკას”. ერთს ლუკმას თვითონ შესჭამენ, მეორეს იმათ მიაწვდიან, პირში შესცქერიან, და თან იცინიან, ხარხარებენ. დედ-მამაზე აღრე გაათავეს ჭამა. დედამ ქვეშაგები გამოიტანა და ეზოში გაშალა. ბავშვები გაგორდნენ ქვეშაგებზე, მაგრამ არ ეძინებათ. “ბროლია” და განაყოფიანთ “ცუგია” ერთმანეთს ეთამაშებიან. თვითონ იცინიან, ტლინკებს ისვრიან, სცემენ ერთმანეთს ფეხებსა. როგორც იყო, ძილმა აჯობა ცელქებს. სძინავთ ყველას. მთვარემაც აიმაღლაურა და ბედნიერ ოჯახს პირდაპირ დააშუქა თავის მკრთალი ნათელი. ამისთანა სიზმრებში არიან ვანო და ცაცა. თოვლი კი თანდათან ძლიერდებოდა და თეთრი საბანი მალე გადაჰხურა, ქარი გულსაკლავის ხმით ნანას

ეუბნებოდა მძინარეთა. უცებ ზემო სართულში მოისმა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. ეს ამბავი თეატრში იყო. სცენაზე “ორი ობოლის” წარმოდგენა იყო და მაყურებელნი ტაშითა და “ვაშას” ძახილით მსახიობთ ასაჩუქრებდნენ. ბევრ მაყურებელს მოუღობო გული სცენაზე წარმოდგენილმა დრამამ და ორის ობლის უბედურებამ ბევრს მოჰგვარა

თვალზედ ცრემლი. “ოჰ, საწყლები!” იძახიან ერთნი, “ოჰ რა უბედურებაა!” - იძახიან მეორენი. თვით იმ ქალბატონს, რომელმაც ვანოსა და ცაცას “ზარმაცები” უწოდა, ყველაზე ძლიერ ჩამოსდიოდა ცრემლები, ყველაზე მეტსა სწუხდა და “კავალერს” რომ არ დაეგურგულებინა, როგორც პაწია ბაღლი უგურგულებს ხოლმე წითელ ვაშლს, რომელიც წუთის შემდეგ პირში უნდა გააქანოს, უეჭველად ისტერიკა დაემართებოდა. აგერ მოვიდა ერთი ობოლთაგანი წყლის პირას, საცაა გადავარდება თავის დასახრჩობად! მსახიობმა ისეთის ხელოვნებით წარმოადგინა ეს სურათი, რომ მაყურებელთ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, სკამებიდან წამოიწიეს და წესიერების დარღვევისა რომ არ შეჰშინებოდათ, სცენაზედაც კი გადაიჭრებოდნენ.

მესამე დღეს გაზეთში გამოქიმილი იყო მეთაური წერილი და ქებითა და დიდებით იხსენიებდნენ მსახიობთ, მჭერმეტყველებით იყო აგრეთვე აწერილი ეფექტი წარმოდგენისა. ამავე გაზეთში, ახალ ამბავთა შორის, მოთავსებული იყო შემდეგი: “გუმინ X-ის ქუჩაზე, თეატრის ქვემო სართულის კედელთან, იპოვეს ქალ-ვაჟი ერთმანეთს გადახვეულნი, პაწია პარკით; როგორც ემჩნეოდათ, მათხოვარნი უნდა ყოფილიყვნენ. უბედურნი გარეთ დარჩენილიყვნენ და თოვლს დაერჩო. ამავე ღამეს ძალათუბნის ერთს ქოხში გარდაიცვალა უპატრონო ქალი, რომელსაც შემდეგი მოწმობა აღმოაჩნდა: მე, სოფელ ყორეთის მამასახლისი, ვაძლევ ამ მოწმობას ამავე სოფლის მცხოვრებელს ზალიკო სახრიშვილს თავის მეუღლე მარიამითურთ და მცირე წლოვანის ქალ-ვაჟითურთ, რათა ჩემი მხრიდან არაფერი დაბრკოლება არა აქვთ ქალაქში ყოფნისა სამუშაოდ ერთის წლის ვადით, რომელზედაც ხელს ვაწერ. ს. ყორეთის მამასახლისი ივანე ჭაჭუნაშვილი 189 . . . “ როგორც აღმოჩნდა, ორი ზემოხსენებული, თოვლში გაყინული ყმაწვილი ამ დედაკაცის ყოფილა, ასე დაიღუპა უბედური ოჯახი სულ ერთიანად!” - დასძენდა გულშემატკივარი მოამბე გაზეთისა.

893 წ. 1 ყველიერში იციან, ბაღლებს გააქცევენ სახლიდან ყველ- ერბო- ქადით, ვითომ თავგებიც თან გაჰყვებიანო.

## კაკანათი

დიდი ხვეწნის შემდეგ ბიძამ ლადას კაკანათი გაუკეთა, მშვენიერი, გათლილი, ძუაგაბმული კაკანათი.

ეს მოხდა სალამოთი, ბიძია რომ სამუშაოდან დაბრუნდა და ლადამაც უვნებლად დაახვედრა სამი ცხვარი, რომელსაც იგი უვლიდა.

დიახ, დღეს ლადამ მიიღო ქება, როგორც სამაგალითო მწყემსმა და აგრეთვე კაკანათიც. ახლა ის იჯდა ბუხართან სხვებთან ერთად და შეექცეოდა ლობიოს შეჭამანდს. კალთაზედ ედვა ახლად შეძენილი იარაღი და გვერდით სამწყემსო კომბალი. მის უმცროს დას პაწია მარიკელას, ცოტა არ იყო სწყინდა, რომ დაასაჩუქრეს მხოლოდ ლადა; მაგრამ იმის შემდეგ, რაც ძმამ პირობა მისცა, რომ ერთად ინადირებენ და ნანადირევსაც სწორედ გაიყოფენ, მარიკელა დაკმაყოფილდა, და, თუმცა ვერა ბედავდა ლადასთვის კაკანათი გამოერთმია, მაინც შორიდან ალერსით უყურებდა და ნახევარსაც თავის საკუთრებად სთვლიდა.

ხანდახან ხელსაც წაავლებდა ხოლმე კაკანათის გადაგრეხილ ძუას, რასაკვირველია, ლადას ნებართვით. ახლა საქმე იმაში იყო. როდის გათენდებოდა, რომ შესდგომოდნენ თავის საქმეს.

ორივე მონადირეს მოუთმენლობა ეტყობოდა. მათ თვალწინ ეხატებოდათ სანეტარო სურათი: დაგებული კაკანათი და შიგ გაბმული ჩიტები.

გათენდა დილა. ლადამ პირველად თვალეები კედელს შეაჭყიტა, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო კაკანათი, მისი ბიძის კაჟიანი თოფის გვერდით. არც მარიკელა ჩამორჩა ლადას და ორივემ საჩქაროდ ჩაიცივეს ტანთ.

ლადამ ჩვეულებრივ გამოუშვა ბოსელიდან თვისი სამწყემსო სამი ცხვარი, ჩაიდვა ყაბალახში ნახევარი პური და კაკანათით ხელში გაუდგა გზას. მას უკან გაჰყვა მარიკელაც. მიემურებოდნენ კალოზედ, სადაც

ბლომად ეყარა საქონლის პატივი და მონარჩენი ბზე, რომელზედაც ბლომად სხდებოდნენ ბელურები.

ნახევარი საათის შემდეგ ორივე მონადირე შეუდგა საქმეს: საქონლის პატივზე დააგეს კაკანათი, თვითონ- კი მიიმალნენ საბძელში და გულის ფანცქალით ელოდნენ სტუმრებს.

- წივ! წივ! - ისმოდა აქეთ-იქიდან ჩიტების წივწივი. მაგრამ ფრთხილი ბელურები ჯერ ვერა ბედავდნენ დამსხდარიყვნენ იმ ადგილს, სადაც ის- ის იყო ორ-ორი მონადირე რაღაცას ფუსფუსებდა.

- ფრრ... - გადმოფრინდა ღობიდან პირველად მამალი ბელურა, რომელიც ბელადად ითვლებოდა თავის ამხანაგებში, დაეშვა პატივზე დადამლილ ბზეზე, რამდენჯერმე მარდად შეთამაშდა ფეხებზე, მიიხედა- მოიხედა აქეთ-იქით და, დარწმუნდა რა, რომ ახლო არავინა სჩანდა, წივწივით მოიწვია ამხანაგებიც.

მაგრამ ერთბაშად ყველამ ვერ გაბედა: ჯერ რამდენიმე მამალი ბელურა დაეშვა მის გვერდით, მათ მოჰყვნენ სხვები და, ბოლოს, ყველა ერთად გადმოეშვა ღობიდან ძირს მათთვის გაშლილ სუფრაზე. ლადა და მარიკელა გულის ფანცქალით გამოიყურებოდნენ საბძლიდან, თვალს არ აშორებდნენ კაკანათს და ტუჩებზე ხელების დადებით ერთმანეთს აფრთხილებდნენ - ხმა არ ამოიღო, თუმცა ვერც ერთი ვერ ითმენდა არ წაეჩურჩულა რამე, როდესაც რომელიმე ჩიტი მიუახლოვდებოდა კაკანათს.

აგერ ერთმა მათგანმა უკვე სულ ახლოს აუარ-ჩაუარა კაკანათზე დაკვეთებულ პურის მარცვალს; მიუახლოვდა მეორეც.

მონადირეებმა სუნთქვაც-კი შეაჩერეს, თუმცა გული ძალზედ უცემდა ორივეს.

- კაპ! - გაისმა უცებ და კაკანათში კისერგაყოფილმა ბელურამ დაიწყო ფრთხიალი.

- წივ! წივ! წივ! - წრიპინით აიშალნენ დანარჩენნი, შესხდნენ ისევ ღობეზე

და იქიდან მიაჩერდნენ თავის საცოდავ ამხანაგს. ისინი თითქო თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, რა მოუვიდა და რა დაემართა მათს ამხანაგს, მაგრამ ახლო მისვლას ვერცერთი ვერა ბედავდა.

ლადა და მარიკელა-კი კაკანათს უკვე ხელში ატრიალებდნენ და ცდილობდნენ უვნებლად გამოეყვანათ იქიდან ბელურა.

როგორც იყო, გაანთავისუფლეს საცოდავი; მაგრამ ვაი ამ თავისუფლებას! ბელურა კისერს აქეთ-იქით აგდებდა, თვალებს აპარპალებდა, ფრთხილებდა, იტანჯებოდა... ერთი წუთის შემდეგ უკანასკნელად გადაატრიალა კიდევ თვალები და გაშეშებული, მკვდარი ჩიტიღა შერჩათ ჩვენს მონადირეებს ხელში. წივ! წივ! -დაიფრთხილეს დანარჩენმა ბელურებმა ლობეზედ. უკანასკნელად გამოესალმნენ თავის საცოდავ ამხანაგს, წყევლა და კრულვა შეუთვალეს პატარა მონადირეებს და გადაფრინდნენ მეორე კალოზედ.

ლადა და მარიკელა სრულებით არ მოელოდნენ ამას.

მათ წინ ახლა იდვა გაშეშებული, უსიცოცხლო ჩიტი!

ორივენი დაღონებულნი დასცქეროდნენ ფრინველს...

კაკანათი რაღაც ბოროტ იარაღად მოეჩვენათ.

- მოკვდა! - წარმოსთქვა ცრემლმორეულმა მარიკელამ.

- საძაგელი ყოფილა კაკანათი, - დაუმატა გულმტკივნეულად ლადამ. ბაღლები დამნაშავესავით იდგნენ უსიცოცხლო ჩიტის წინ.

1907 წ.

### გველების ყორე

სოფლის შუაგულში იყო ტბა აშმორებული და გახრწნილი. ზევიდან დამპალი, მწვანე წიკვლი ჰქონდა გადაკრული, მის ქვეშ დასისინებდნენ გველები, ირეოდნენ ბაყაყები, იგრიხებოდნენ წურბლები. ხანდახან რომელიმე ჯოჯო ამოჰყოფდა თავს და ამით ატყობინებდა არემარეს, რომ

ტბის ძირშიაც იყო სიცოცხლე, რომ იქ, ტბის ძირშიაც, ათასგვარ ქვემძრომს მოეყარა თავი და ცხოვრობდნენ ტკბილად, შეუშფოთებლად.

ჰაერი კი იწამლებოდა და მთელი სოფელი დაავადებული, ავადმყოფი კვნესოდა და შესჩიოდა ღმერთს თავის მწუხარებას, ხალხს ფიქრშიაც არ მოსდიოდა ტბისთვის ხელი შეეხო, ან კი როგორ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა მისი თავიდან მოშორება, მისი ამოშრობა.

“მამა-პაპიდან ასე ყოფილა, - არიგებდნენ ახალგაზრდებს ბერიკაცები. - ალბათ ღვთისაგან არის ასე გაჩენილიო” და სხვა... მოჰყავდათ მოხუცებს ათასგვარი საბუთი ახალგაზრდების დასარწმუნებლად, რომელთაც ვეღარ აეტანათ სულშემხუთავი მოწამლული ჰაერი. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ხშირად იკრიბებოდნენ სოფელში და თათბირობდნენ იმაზედ, თუ როგორ და რანაირად შეიძლებოდა ტბის დამარხვა და სოფლის სიკვდილისაგან გადარჩენა.

ბევრმა მათგანმა სცადა გაეწმინდა ტბა სიბინძურისაგან, მაგრამ თითოეული ცალკე ვერ ერეოდა მძიმე საქმეს და შხამიანი გველების მსხვერპლი ხდებოდა. ბევრმა, ძალიან ბევრმა თავგამოდებულმა შესწირა სოფელს თავი! ამხანაგები სჭიროდნენ მათ, მოხუცები ხელებაპყრობილნი ევედრებოდნენ ზენას, ეპატებიანა თავხედთათვის ცოდვა...სოფელი კი გაყვითლებული, დასნეულებული, მოშხამული, შეგუბებული ჰაერის სუდარაში შეხვეულიყო.

ამგვარად გაატარა რამდენიმე საუკუნე უბედურმა ხალხმა, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და ტბასაც დაუდგა უკანასკნელთ წუთი. მისმა გახრწნილმა წიაღმა მთლად შეუხუთა სული მცხოვრებლებს, სუნთქვა შეუძლებელი იყო, მეტის ატანა აღარ იქნებოდა: ან სოფლის სიკვდილი, ან ტბის დამარხვა, მისი ამოშრობა, სამუდამოდ თავიდან მოშორება, ორში ერთი უნდა გადაეწყვიტათ და მათ ირჩიეს ისევ ტბის ჩაქოლვა და თავის სიცოცხლე. სწუხდნენ მოხუცნი ამ გადაწყვეტილებაზედ, სამაგიეროდ ახალგაზრდები იმზადებდნენ წერაქვსა და ნიჩაბს, რომ ტბისათვის მიწა მოეყარათ.

დადგა ეს დღეც. დილა-ადრიან გაისმა სოფელში განგაშის ხმა და ვისაც კი ცოტაოდენი ღონე ჰქონდა მკლავში, ვისაც ცოტაოდენი გული შერჩენოდა, - ყველამ ერთად ნიჩბითა და წერაქვით მიაშურა ტბას. ათიათასმა ხელმა დაიწყო მუშაობა.

შეტოკდა აშშორებული წყალი, აყაყანდნენ ბაყაყები, ამოძრავდნენ გამძლარი წურბელები, ასისინდნენ გველები, შედგნენ ყალყზე ბინძური ჯოჯოები. იგრძნეს, რომ უდგებათ უკანასკნელი წუთი, ირღვევა მათი მყუდროება, რომ სოფელმა გადაწყვიტა მათი სიკვდილი, თავიდან მოშორება.

შესაზარი სანახავი იყო ამ დროს ეს საუკუნოებში სიკვდილივით წყნარი და გვამივით გახრწნილი წუმპე, ზოგი ქვემძრომი აქა-იქ სოროში იმალებოდა, ზოგი უკანასკნელ ძალას იკრებდა და იკბინებოდა საშინელის სიმწრით. ტბა იღებებოდა სისხლით, ბევრმა მუშამ, გველის ისრით გაბასრულმა, უკანასკნელად დაიკვნესა, მაგრამ ათიათასი წერაქვ-ნიჩბი ელვის სისწრაფით ავსებდნენ სამარეს და იმარხებოდა სოფლის ჭირი, სოფლის გამათახსირებელი ტბა.

მაღე ამ საშინელ ადგილზედ აიმართა ყორე. მის ქვეშ დაიმარხა სიბინძურე, შხამი და გესლი, გაიწმინდა ჰაერი, მოისვენა სოფელმა, ჩაჩუმდა ტირილი და გოდება. ხალხს ფერი ეცვალა, ის განიკურნა და ძალ-ღონე მოცემული შეუდგა თავისუფალ შრომას თავის საბედნიეროდ. მას ეხლა აღარ ეშინიან აღარც სულშემხუთავი ჰაერისა, აღარც შხამიანი გველებისა. იმ ადგილას, სადაც ეს ტბა იყო, ხალხი ეხლა “გველების ყორეს” ეძახის, ხოლო სოფლის ერთს მშვენიერ კორდზე, სადაც თავ-განწირულ ძმათა საფლავია, ამართულ ნიჩაბ-წერაქვზე დააწერეს: “წერაქვმა და ნიჩაბმა დამარხა ტბა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში შხამავდა სოფელს”.

1905 წ.